საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№166 (12 236)

17 ივლისი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი



ვარლამ კილასონია გუშინდელ პრესკონფერენციაზე

# 90 პროცენტით ლევანტეში

მართალია, "როიტერმა" და "სქაი სპორტმა" ჯერ კიდევ პარასკევს გაავრცელეს ცნობა, რომლის თანახმადაც **შოთა არველაძემ** ესპანურ პრიმერა დივიზიონში მოასპარეზე "ლევანტესთან" კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ ეს დღემდე არ მომხდარა. შოთამ პარასკევს გვითხრა, რომ ორშაბათს, 16 ივლისს საბოლოო მოლაპარაკებები უნდა გაემართა "ალკმაართან". არველაძის ტრანსფერი ერთი ხანობა ეჭვქვეშაც კი იდგა. "ლევანტე" შოთასთან მხოლოდ იმ შემთხვევაში გააფორმებდა კონტრაქტს, თუ "ალკმაარი" ჩვენებურს თავისუფალი აგენტის სტატუსს მისცემდა. როგორც ჩანს, მოვლენები სწორედ არველაძისთვის სასურველი სცენარით ვითარდება. ყოველ შემთხვევაში, შოთასთან გუშინდელი საუბარი ამას ადასტურებს:

- დღეს შეხვედრა მქონდა "ალკმაარის" ხელმძღვანელებთან. მართალი გითხრათ, ჩემი დათმობა არ უნდათ და მოლაპარაკებებისას ეს ვიგრძენი კიდეც, თუმცა საუბრის შედეგით მაინც კმაყოფილი დავრჩი. ხვალ მათ ჩემი ადვოკატები შეხვდებიან და ალბათ, თავისუფალი აგენტის სტატუსს მივიღებ. შეიძლება ითქვას, რომ 90 პროცენტით "ლევანტეში" ვარ გადასული. დღეს ვალენსიური კლუბიც დამიკავშირდა და ისინიც საქმის კურსში ჩავაყენე. ხვალ ვერა და ზეგ, ოთხშაბათს გავფრინდები ესპანეთში. დღეს მეტს ვერაფერს გეტყვით. სამშაბათს ყველაფერი საბოლოოდ გადაწყდება.

დავით ცაბაძე

## შოთა ხვალ ესპანეთში იქნება



დღეს. რუსთავი. 18:15. ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. ოლიმპი-ასტანა

# მინიმუმ ერთი ეტაპი უნდა დავძლიოთ!

დღეს რუსთავში საერთაშორისო საკლუბო ფეხბურთის დებიუტია - "ოლიმპი" ყაზახეთის ჩემპიონ "ასტანას" უმასპინძლებს. მაისის შემდეგ რუსთავის "ოლიმპში" ბევრი რამ შეიცვალა - მწვრთნელი, მოთამაშეები. შეიცვალა გუნდის არენაც. ახლა რუსთაველთა სტადიონს ველარ იცნობთ. შესაძლოა, უმაღლესი დონის არაა, მაგრამ გუნდის მეპატრონეს შრომა უნდა დავუფასოთ: სტადიონი მოწესრიგებული და დასუფთავებულია, მოედანი კი ისეთი მოვლილია, რუსთავში არასდროს რომ არ ყოფილა. ერთი სიტყვით, ამ არენას ეშველა.

გუშინ სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში გუნდის ვიცე-პრეზიდენტი **ბადრი ქარქაშაძე**, მთავარი მწვრთნელი **ვარლამ კილასონია**, კაპიტანი **მიხეილ მახვილაძე** და პრესატაშე **მიხეილ ჯორბენაძე** მასმედიას შეხვდნენ და სიახლეებზე ისაუბრეს.

პრესკონფერენცია 2

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE



# დავით ლანჩავას საპრეზიდენტო განაცხადი

გუშინ იან ჰომერის სახელობის კორტებზე კომპანია "ქართული ჩოგბურთის" პრეზიდენტმა **დავით ლანჩავამ** პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციაზე მის გვერდით ისხდნენ ვეტერანთა და მოყვარულ ჩოგბურთელთა ფედერაციის პრეზიდენტი **ვლადიმერ გოგლიძე**; მწვრთნელები: **ირინე მალაციძე** და **არჩილ კეკელია** და ჩოგბურთელი **ირაკლი უშანგიშვილი**. მასმედიასთან შეხვედრის მიზანი საზოგადოებისთვის ჩოგბურთელთა ერთი ნაწილის განცხადების გაცნობა იყო - ისინი ფედერაციის რიგგარეშე კრებისა მოწვევას და პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების გამართვას ითხოვენ. განცხადების ტექსტი გუშინვე იქნა გამოქვეყნებული მედიაში. გუშინ ლანჩავამ და კომპანიამ უფრო ვრცლად ისაუბრეს თავიანთ გეგმებზე.

დავით ლანჩავა: - თავიდანვე ვაცხადებ, რომ ჩვენ არავის ვებრძვით პიროვნულად. ჩვენი მიზანია, ქართული ჩოგბურთის გადარჩენა და განვითარება, პოპულარიზაცია და უფრო მაღალ დონეზე აყვანა. ჩვენ ვიცით, თუ როგორ გავაკეთოთ ეს, რა გზას დავადგეთ და მიტომ ვართ დღეს აქ.

შესაძლოა, კითხვა გაგიჩნდეთ - არჩევნებამდე ერთი წელია დარჩენილი და მოგეცადათ, რატომ იჩქარეთო. მიგვაჩნია, რომ დღევანდელ სიტუაციაში დახანება ერთი დღითაც არ შეიძლება. ერთი წლის მერე რომ მეთქვა არსებულ პრობლემებზე, მაშინ საპირისპიროში დამადანაშაულებდნენ - აქამდე სად იყავიო?!

9

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპი. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი. პრესკონფერენცია

## ვარლამ კილასონია:

# მინიმუმ ერთი ეტაპი უნდა დავძლიოთ!



მიხეილ მახვილაძე, ვარლამ კილასონია და ბადრი ქარქაშაძე პრესკონფერენციაზე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**ვარლამ კილასონია:** - სეზონის დასრულებისთანავე გუნდი დატოვეს ონიანმა, სეთურიძემ, გოცირიძემ, ძამსაშვილმა, ბერუაშვილმა, აფციაურის საკითხიც გასარკვევია. ის შეკრებაზე არ გვახლდა, საკონტროლო შეხვედრების დიდი ნაწილიც არ ჩაუტარებია. მის პოზიციაზე სხვა ფეხბურთელები გავსინჯეთ. გუნდს მომზადების გეგმა გააჩნია, რომელიც მას არ გაუვლია. თუმცა ადამიანურად გავუგეთ და განაცხადში შევიყვანეთ.

დავიმატეთ ლევან სილაგაძე, სერგო ორბელაძე, ალეკო კოშკაძე, ჯაბა დვალი და რამდენიმე უცხოელი. აკუასაგამ, ბოდრი ჯილდასმა და ჟივკოვიჩმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და სამივე დაგვეხმარება. თითოეულ მათგანს ძლიერ კლუბებში უთამაშია. ჟივკოვიჩი ბოლს "იონიკოსში" იყო, აკუასაგა "ჰავრში" გამოდიოდა, ჯილდასი კი მაროკოში. ახლახან ჩამოსულ პორტუგალიელ დანის კი უფრო კარგად გავიცნობთ. საკონტროლო შეხვედრას ჩავატარებთ და წარმოდგენაც შეგვექმნება. თუმცა პიროვნულად აქ არანაირი პრობლემა არ უნდა შეექმნას, კონტაქტური ტიპი ჩანს.

**- ენის ბარიერი ხომ არ ექნებათ უცხოელებს?**

- კი გაუჭირდათ თავიდან, მაგრამ ბიჭებთან მალე გამონახეს საერთო ენა და რამდენიმე საჭირო სიტყვა უმალ აითვისეს.

**- გუნდი, ფაქტობრივად, თავიდან დაკომპლექტდა და ფეხბურთელთა შეთამაშება გაკმაყოფილებთ?**

- ერთი თვე მაქსიმალურად გამოვიყენეთ, საკონტროლო შეხვედრებში ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარდა. იმედია, ახლებს ადაპტაცია არ გაუჭირდებათ. მათ "ოლიმპი" უდავოდ გააძლიერეს. მართალია, გვიან ჩამოვიდნენ, მარამ მათ მეგობრული გუნდი დახვდათ და იმედია, შეთამაშების პრობლემასაც მოვაგვარებთ და შინ და გარეთ წარმატებით ვითამაშებთ.

**- მარჯვენა მცველის პრობლემა როგორ ვერ მოაგვარეთ?**

- სამწუხაროდ, სათანადო დონის მცველი ვერ მოვძებნეთ, მაგრამ შევეცდებით, უმტკივნეულოდ გადავჭრათ საკითხი. შესაძლოა ამ პოზიციაზე მახვილაძემ ითამაშოს.

**- მეტოქეზე რა ინფორმაციას ფლობთ?**

- ვიცით, რომ რუსეთში წარმატებით მუშაობდა "ასტანის" ახალი მწვრთნელი ირხანი. სხვა თითქმის არაფერი ვიცით.

**- "ასტანის" მატჩებს რატომ ვერ დაესწარით?**

- მათ ორი ტური გადაუდეს და მიზეზი ეს იყო.

**- ორი ფორვარდით ითამაშებთ?**

- ალბათ, ასეც იქნება. თუმცა მთავარი რაოდენობა კი არა, ფეხბურთელებისთვის მიცემული დავალებაა. ჩვენ გვინდა სწრაფი გოლი გავიტანოთ და კარი მშრალად შევინახოთ. ეგაა, მეტოქეს არ ვიცნობთ და ქაჯებივით ვერ მივაწყდებით.

**- ლეგიონერებს ძირითადში დააყენებთ?**

- 98 პროცენტით შემიძლია გითხრათ, რომ ორი ითამაშებს, მესამეზე კიდევ ვფიქრობთ.

**- რეზო ძოძუაშვილი გვპირდებოდა, სამ წრეს გავივლიო. თქვენ ეს რეალურად მიგაჩნიათ?**

- მინიმუმ ერთი წრე უნდა გადავლახოთ. შემდეგ ძალიან ძლიერ მეტოქესთან გველის თამაში. "რუსენბორგი" ჩემპიონთა ლიგაში საკმაოდ დიდი წარმატებით გამოდიოდა. თუმცა სისუსტე მასაც ექნება და რატომ არ უნდა ვიფიქროთ წარმატებაზე?

სხვათა შორის, კატეგორიულად არ ვეთანხმები იმ აზრს, თითქოს ყაზახებთან შეხვედრა გამართლებაა. როგორ გაიზარდა ამ ქვეყნის ფეხბურთი, "ტობოლმა" "ზესტაფონთან" და ჩეხურ "სლოვანთან" მოგებით გამოაჩინა. საკმაოდ რთულ და დაძაბულ შეხვედრას ველოდები.

**მიხეილ მახვილაძე:** - "ოლიმპში" ყველაფერი გააკეთეს ძირითადი ბირთვის შესანარჩუნებლად. ჩემთვის მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ გუნდში მეგობრული ატმოსფერო შენარჩუნებულია და ახალწვეულებს ადაპტაციას მაქსიმალურად გავუიოლებთ. მათი დამატებით "ოლიმპი" გაძლიერდა და საქართველოშიც და უცხოეთშიც მაქსიმალური შედეგისთვის ვიბრძოლებთ.

პირველი გვერდიდან

**ბადრი ქარქაშაძე**: - სტადიონის რეკონსტრუქცია იანვარში დავიწყეთ. სიმართლე გითხრათ, დარწმუნებული ვიყავით, რომ მეტოქეს რუსთავში ვუმასპინძლებდით, მაგრამ ამაზე წინასწარ საუბარი არ გვსურდა. სეზონის დამთავრების შემდეგ ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტის თანამშრომელი გვესტუმრა და გვითხრა, რომ პირველი თამაშის მასპინძლობის შანსი გვქონდა. მას შემდეგ კიდევ ბევრი რამ გაკეთდა და უეფას წარმომადგენელმა გვითხრა, ორ ეტაპს უმასპინძლებთო. მერე კი ვნახოთ, გააჩნია, სტადიონს რომელ კატეგორიას მიანიჭებენ. ჩვენ რეკონსტრუქციას ამით არ ვაჩერებთ. განათების დამონტაჟება მიმდინარეობს და ეს კიდევ ერთი პლუსი იქნება...

- ბილეთების გაყიდვა უკვე დაწყებულია. დასავლეთი ტრიბუნა გადახურულია, იქ ბილეთი 3 ლარი ღირს, აღმოსავლეთზე კი - 2 ლარი...

- რაც შეეხება სეზონისთვის მზადებას, ამაზე მთავარი მწვრთნელი ისაუბრებს. მე კი მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ უფრო დალაგებულად შეიძლებოდა სეზონს შევხვედროდით. სამწუხაროდ, უკეთესი კომპლექტაციისთვის დრო არ გვეყო, უცხოელებიც დროზე ვერ ჩამოვიდნენ...

რაც შეეხება თორნიკე აფციაურს, მას სხვაგან იწვევენ, მაგრამ ჩვენც შევთავაზეთ დარჩენა და ყველაფერი მალე გაირკვევა.

**მერაბ მამულაშვილი**

ტორპედო

# ახალი გუნდი შენდება



დავით ჯანაშია

ქუთაისის „ტორპედო“ იანვრიდან მოყოლებული ფინანსურ კრიზისში იმყოფება, ცოტა ხნის წინათ გუნდის ყოფნა-არყოფნის საკითხიც იდგა, თუმცა დიდი სირთულეების მიუხედავად „ტორპედო“ მე-19 ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობას მაინც მიიღებს.

ქუთათურებმა ახალი სეზონისთვის მზადება 14 ივლისს სალორიის სანვრთნელ ბაზაზე დაიწყეს. **დავით ჯანაშიას** განკარგულებაში 50-მდე ფეხბურთელია. ბევრი მათგანი გუნდში სინჯებს გადის და ვინც გაამართლებს ახალი სეზონიდან „ტორპედოს“ ფორმას მოირგებს. გუნდის განვრთნაში ჯანაშიას **გელა კიკალიშვილი** ეხმარება, რომელიც ადრე „ტორპედოში“ **ოთარ გაბელიას** ასისტენტი იყო, ბოლოს კი ახალგაზრდულ გუნდში მუშაობდა. როგორც კლუბის გენერალურმა დირექტორმა **ვლადიმერ კაკაურიძემ** გვითხრა, ფეხბურთელების შერჩევა 28 ივლისამდე გაგრძელდება და გუნდი ძირითადად ახალგაზრდებით დაკომპლექტება. *„ტორპედოსა“ და ქუთაისში არსებული სხვა საფეხბურთო სკოლებიდან ნიჭიერ ფეხბურთელებს ვარჩევთ და ვინც მოსამზადებელ ეტაპზე თავს გამოიჩენს, გუნდშიც ის ჩაირიცხება. გასული სეზონის შემდეგ გუნდი ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა, მათი შემცვლელების ძიება ინტენსიურად მიმდინარეობს. „ტორპედო“ მთლიანად ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტდება და იმედი გვაქვს, რომ ახალწვეულები გაამართლებენ“*, - განაცხადა "ლელოსთან" საუბარში ვლადიმერ კაკაურიძემ.

შეგახსენებთ, რომ „ტორპედო“ უკვე დატოვეს **ალეკო ლალაძემ, გიორგი გურულმა** და **გიორგი ჭედიამ**. მათ გზას კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დაადგა. **ზვიად ჩხეტიანი** ბელარუსში იმყოფება და სავარაუდოდ იქ გააგრძელებს კარიერას. თავდამსხმელი **მამუკა ლონლაძე** „ცხინვალში“ გადავიდა. გუნდიდან წავიდა **გია იმედაძეც**, თუმცა მისი ახალი ნავსაყუდელი ჯერჯერობით უცნობია. აქამდე ბაზაზე არ გამოჩენილან **ზვიად ქუთათელაძე, რატი ბარაბაძე** და მეკარე **მაქსიმე ქვილითაია**. სავარაუდოდ „ტორპედოდან“ ისინიც წავიდნენ.

იმ შემადგენლობიდან, რომელითაც „ტორპედო“ წინა ჩემპიონატის მეორე წრეში ასპარეზობდა, გუნდში მხოლოდ **ნადირაძე, ზივზივაძე, კირკიტაძე, ხურცილავა, კვერნაძე, გორგოძე, დანელია** და **ხარებავა** დარჩნენ. დანარჩენი ფეხბურთელები მწვრთნელებმა სინჯებზე უნდა შეარჩიონ.

21, 22 და 23 ივლისს „ტორპედო“ სამი ამხანაგური მატჩის გამართვას გეგმავს, თუმცა მეტოქეების ვინაობა ჯერ ცნობილი არ არის.

**დავით კოხრეიძე**
**ქუთაისიდან**



ვახტანგ ფანცხავა

გაგრა

# ქართულ კლუბს ფრანგული დააფინანსებს

## ლე მანში ორი ქართველი ჩაირიცხება

"ლემანის" და "გაგრას" კონტრაქტის შემადგენელი ნაწილია ფრანგულ კლუბში **ვახტანგ ფანცხავას** ჩარიცხვაც. საერთოდ, კლუბები ერთმანეთს მისი საშუალებით დაუკავშირდნენ. თებერვალში, პორტუგალიის საერთაშორისო ტურნირზე ფანცხავა საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. "ლე მანის" სელექციონერს 17 წლის თავდამსხმელი მოეწონა და "გაგრას" თავკაცს დაუკავშირდა. ბესო ჩიხრაძის გაცნობის შემდეგ კი ფრანგების პრეზიდენტს ახალ-ახალი იდეები მოუვიდა თავში და ეს ყველაფერი როგორც გაგრძელდა, უკვე მოგახსენეთ.

ვახტანგ ფანცხავა სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. თუმცა ის გუნდში ერთი ქართველი არ იქნება. გოდერძი ჩიხრაძის თქმით, "ლე მანში" "ზესტაფონისა" და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების 17 წლის მარჯვენა ნახევარმცველი **ამირან სანაიაც** ჩაირიცხება.

ეს უდავოდ სასურველი შეთანხმებაა, რომელიც არა მარტო "გაგრას", მთლიანად ქართულ ფეხბურთს წაადგება. ორი ფეხბურთელი რომ გაიზარდოს, პატარა საქმე არაა. "ლე მანი" კი ტალანტების გაზრდითა და გასხვისებით არის ცნობილი. მარტო **დიდიე დროგბა** რად ღირს - "ჩელსის" თავდამსხმელი სწორედ "გაგრას" პარტნიორ კლუბში დაფრთიანდა.

"გაგრა" პირველი ლიგის კლუბი კი არის, მაგრამ საქმეები იქ იმგვარად იმართება, ბევრ უმაღლესლიგელს შეშურდება. გუშინ საბოლოოდ დაგვიდასტურეს, რომ "გაგრა" საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის "ლე მანის" პარტნიორი გახდება.

ეს ამბავი გუნდის ვიცე-პრეზიდენტმა **გოდერძი ჩიხრაძემ** გვითხრა: *"საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ჩვენი პრეზიდენტი ბესო ჩიხრაძე ფრანგებთან მოლაპარაკებას დიდი ხანია აწარმოებდა. ამ შემთხვევაში, მთავარი ისაა, რომ პარტნიორობის იდეა "ლე მანისგან" წამოვიდა. გუნდის ხელმძღვანელობამ შემოგვთავაზა დაფინანსება, ფეხბურთელებისა და მწვრთნელების სტაჟირება. ერთი სიტყვით, ჩვენ ისეთი პარტნიორი შევიძინეთ, რომელიც ძალიან დაგვეხმარება. ევროპელებთან კონტაქტი "გაგრის" გასაძლიერებლად და ახალ დონეზე ასაყვანად გვინდა. როგორც ვიცი, სამშაბათს ბესო საფრანგეთში უნდა გაემგზავროს და თანამშრომლობა ოფიციალურად გაფორმდება"*.

**მერაბ მამულაშვილი**

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექსანდრ ირხინი

მეტოქე. ასტანა

# ჩემპიონი იქიდან, სადაც პრეზიდენტი პრეზიდენტის სიძეა

ყაზახეთის ჩემპიონი "ასტანა" თბილისში, სასტუმრო "ბატესტაში" დაბინავდა და გუშინ რუსთავის "ფოლადზე" საღამოს შვიდის ნახევრიდან შეუდგა ვარჯიშს.

უზარმაზარი ყაზახეთის ფეხბურთს ქართულ ფეხბურთთან არცთუ ცოტა საერთო აქვს. მოწინავე ყახაზურ კლუბებს ისე არ უჭირთ, რომ წლიური ბიუჯეტი მინიმუმ მილიონნახევარი დოლარი არ ჰქონდეთ. შუა აზიის ამ ქვეყანაში საფეხბურთო კლუბის ყოლა ისევე წამგებიანია, როგორც საქართველოში, თუმცა იქ კლუბის არსებობა სისტემაშია მოქცეული. საფეხბურთო გუნდების უმეტესობა სახელმწიფო სტრუქტურას ან სახელმწიფო შპს-ს ეკუთვნის, რომელთაც კერძო კომპანიები სპონსორობენ. ბიზნესმენებს ბეზრდებათ წამგებიანი საწარმოს სპონსორობა და კლუბსაც ხშირად ეცვლება სპონსორი. შეიძლება ითქვას, ხშირ შემთხვევაში საფეხბურთო კლუბებს ხელისუფლების მითითებით ასპონსორებენ ბიზნესმენები.

"ასტანას" თბილისში სამი ყაზახი ჟურნალისტი ჩამოყვა. ერთ-ერთმა გვითხრა, ყახაზეთი "ოლიმპი"-"ასტანას" მატჩს პირდაპირ ეთერში იხილავსო. გუშინდელ ვარჯიშს ოდენ ერთი ყახაზი მედიელი დაესწრო, დანარჩენი ორი ქალია და ისინი კლუბის ავტობუსმა თბილისიდან რუსთავში არ წამოიყვანაო.

ყაზახეთი კი მხოლოდ ის არ არის, როგორადაც ის გახმაურებულ ბრიტანულ კომედია "ბორატშია" წარმოჩენილი. უზარმაზარი რესურსების მქონე ქვეყანას ჯერაც უჭირს გახდეს საერთაშორისო ერი, თუმცა ბევრად უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე შუა აზიის სამხრეთული ქვეყნები - ყირგიზეთი და უზბეკეთი. ყაზახეთის პრეზიდენტმა **ნურსულთან ნაზარბაევმა** ქვეყნის დედაქალაქი ალმა-ათიდან ასტანაში გადაიტანა, სადაც მშენებლობა ისეთი ტემპით მიდის, მუშახელი უცხოეთიდანაც მოდის. ყაზახეთში უმუშევრობა, როგორც პრობლემა, არ არსებობს და მიუხედავად დემოკრატიის არცთუ მაღალი ხარისხის, ხალხი ნაზარბაევის რეჟიმით კმაყოფილია.

და მსგავსებაც ყახაზურ და ქართულ ფეხბურთს შორის... ისევე, როგორც ჩვენთან, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს იქაც უმაღლესი ხელისუფალი ნიშნავს. ყახაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჯერაც **რახატ ალიევია**. მას ისე აქვს წყალი შემდგარი, რომ ამ პოსტს მალე გამოაცლიან. ალიევი ნურსულთან ნაზარბაევის უფროსი ქალიშვილის ქმარი გახლდათ, თუმცა პრივილეგიურმა მდგომარეობამ ისე აუბნია თავგზა, ისე გაახარბა და გამოაყეყეჩა, რომ ბატონი ნაზარბაევი განარისხა და უკვე აღარ არის მისი სიძე. განქორწინებას კი მალე რახატის მორიგი გვემა მოჰყვება - ის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი აღარ იქნება.

"ასტანას" შარშან მაინცდამაინც არ მიიჩნევდნენ ჩემპიონობის ფავორიტად, მაგრამ კლუბმა ისეთი მკვეთრი პოლიტიკა გაატარა, რომ გუნდი გააჩემპიონა. "ასტანის" მთავარ მწვრთნელად **არნო პაიპერსი** დაინიშნა. ეს მოხეტიალე ჰოლანდიელი სპეციალისტი მანამდე ესტონეთის ნაკრებსაც თავკაცობდა. პაიპერსმა "ასტანაში" აქცენტი ახალგაზრდებზე აიღო და ამან გაუმართლა. პაიპერმა ყაზახეთში ისეთი სახელი დაიგდო, ეროვნული ნაკრები ჩააბარეს, "ასტანა" კი **ივან აზოვსკის** გადაულოცეს. ახალი მწვრთნელი, ახალი ფეხბურთელები - გუნდის საქმე დაღმა წავიდა და ყაზახეთის ჩემპიონატის პირველი წრის მიწურულს აზოვსკი **ალექსანდრ ირხინმა** შეცვალა. მისი თავკაცობით პირველი წრის ბოლო ტურში "ასტანამ" ყარაგანდის "შახტიორს" 3:0 მოუგო, თუმცა ირხანი ოფიციალურად მაშინ ჯერაც არ იყო მთავარი მწვრთნელი და შეიძლება ითქვას, დებიუტი "ოლიმპთან" ექნება.

ირხანს გუშინ ვარჯიშის შემდეგ გამოველაპარაკეთ.

- ბევრს ვერაფერს გეტყვით, "ოლიმპთან" ალბათ საინტერესო მატჩი გვექნება.

**- მეტოქეს როგორ დაახასიათებდით?**

- "ოლიმპს" არ ვიცნობ, მაგრამ ალბათ კარგი და ტექნიკური გუნდია.

**- "ოლიმპის" თამაში ვიდეოზეც არ გინახავთ?**

- არა, მხოლოდ გადმოცემით ვიცი, რომ კარგი გუნდია.

**- თქვენი გუნდი რა სტილში თამაშობს?**

- სულ ათი დღეა, რაც გუნდის მთავარი მწვრთნელი ვარ და მნიშვნელოვან ცვლილებებს ვერ მოვასწრებდი. ასე ვთქვათ, ჯერ ძიების პროცესში ვარ.

**- "ოლიმპი" სეზონში პირველ მატჩს ითამაშებს, ყაზახეთში კი პირველი წრე ახლახან დასრულდა და თქვენი გუნდი ალბათ უკეთეს კონდიციაშია, ვიდრე საქართველოს ჩემპიონი...**

- არ მგონია, ეს ფაქტორი ჩვენ არანაირ უპირატესობას არ გვაძლევს. პირველი წრის დასრულების შემდეგ გუნდი შვებულებაში ვერ გავუშვით და ფეხბურთელები გადაღლილები არიან. მთელი სიმძიმე ერთსა და იმავე ფეხბურთელებს აწვებოდათ, რადგან გუნდში არანაირი როტაცია არ არსებობდა.

**- რუსთავში დაცვით მოდელს აირჩევთ?**

- ჩვენ კავკასიურ გუნდს სტუმრად ვეთამაშებით და დაცვაში ძალიან აკურატულად უნდა ვიმოქმედოთ.

**- მატჩი ფრედ რომ დასრულდეს, კმაყოფილი დარჩებით?**

- სტუმრად ვთამაშობთ და ფრე ჩვენთვის დადებითი შედეგი იქნება.

"ასტანამ", რომელმაც პირველი წრე მე-8 ადგილით ჩაამთავრა, ეს ფეხბურთელები ჩამოიყვანა:

მეკარეები: ბიოჩენკო, კუზნეცოვი;
მცველები: კუმისბეკოვი, კუჩმა (კაპიტანი), ჯალმაგამბეტოვი, ჩიჩულინი, ალიევი, აქსიომოვი, კენჯისარიევი;
ნახევარმცველები: შიშკინი, კუკეევი, აბდუალიევი, სერგიენკო, სუჩკოვი, ბულატოვი, სიომინი, სუხოვი, ბაიმბეტოვი;
თავდამსხმელები: აზოვსკი, კოჩკაევი, სუიმაგამბეტოვი, გენჩევი.

დავით თავართქილაძე



ასტანის მატჩისწინა ვარჯიში

ალესანდრე კოტორაშვილის ფოტოები

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ამერი

# გოცირიძეც გადაწყდა

როგორც მოსალოდნელი იყო, "ამერმა" ყველა სატრანსფერო ფორმალობა მოაგვარა და განაცხადში ბოლო ახალწვეულიც შეიყვანა. **რევაზ გოცირიძის** სატრანსფერო ფურცელი ნაბერეჟნიე ჩელნის "კამაზიდან" ეს ესაა ჩამოვიდა - გოცირიძე უკვე გლდანელთა სრულუფლებიანი წევრია. მისი საევროთასო განაცხადში შეყვანაც დროულად მოესწრო.



რევაზ გოცირიძე

პოლონეთში **გიორგი ჩიხრაძეს** 21 ფეხბურთელი მიჰყავს, ბუნებრივია, გოცირიძეც მათ შორისაა. **ბესიკ ჩიმაკაძისა** და **რატი წინამძღვრიშვილის** მძიმე ტრავმების შესახებ კარგად იცით, "ბელხატოვთან" ვერც "ამერის" ახალწვეული **არჩილ ალავიძე** ითამაშებს, თუმცა ჩიმაკაძისა და წინამძღვრიშვილისგან განსხვავებით, მწყობრში სულ მალე ჩადგება.

"ამერი" პოლონეთში ხვალ დილაადრიან გაემგზავრება. ჩარტერული რეისი ლოძში დასრულდება, საიდანაც გუნდი ორმოცდაათიოდე კილომეტრში მდებარე პატარა ბელხატოვისკენ ავტობუსით აიღებს გეზს.

ჩეხური შეკრებიდან დაბრუნებული "ამერი" უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩების წინ, ტრადიციულ ადგილზე, მცხეთაში, სასტუმრო "მცხეთა პალასშია" დაბანაკებული.

ლევან ჯანეზაშვილი

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge



პასკალ ჩერონე

უეფას თასი

# ვადუცმა ჩერონე დაიმატა

## მეტოქე უკვე თბილისშია

უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის "დინამოს" მეტოქე ლიხტენშტაინის "ვადუცი" დღეს, გამთენიისას გვეწვია. ჯუჯა ქვეყნის წარმომადგენლები ვერაზე, სასტუმრო "ვარაზში" დაბინავდნენ. წუხელ სასტუმრო "ვარაზის" ადმინისტრაციას დავუკავშირდით და მეტოქე გუნდის ფეხბურთელთა სია ვთხოვეთ, რომელიც ლიხტენშტაინელებმა ორიოდე დღის წინათ გამოაგზავნეს, თუმცა ინფორმაცია კონფიდენციალურიაო და თავაზიანი უარი მივიღეთ. მხოლოდ ის გავიგეთ, მწვრთნელ **ჰაინც ჰერმანს** თბილისში 18 ფეხბურთელი მოჰყავს.

ამით არ დავკმაყოფილდით და მეტოქეზე მცირე ინფორმაცია შევაგროვეთ.

როგორც ირკვევა, ლიხტენშტაინის თასის მფლობელმა ზაფხულის მოსამზადებელ შეკრებაზე 6 საკონტროლო მატჩი გამართა. ჰერმანის გუნდმა "სენტ გალენთან" (0:5), "ვინტერტურთან" (1:2) და "ციურიხთან" (3:4) მარცხი იწვნია. მინიმალურად დამარცხდა "ვილისთან". **მირზა ბუალავას** ავსტრიულ "ლუშტენაუსთან" კი ორი ტესტმატჩი გამართა - ჯერ 2:1 მოიგო, მერე კი ფრედ 1:1 ითამაშა.

"ვადუცს" წლეულს 75 წლის იუბილე აქვს და აღსანიშნავია, რომ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდმა ამ გუნდში საკმაო ცვლილებები გამოიწვია. ცვლილებები კი ფეხბურთელებთან ერთად მწვრთნელსაც შეეხო. კლუბი დატოვეს მწვრთნელმა **ჰანიო ველერმა**. ფეხბურთელებმა **პაპ ომარ ფაიამ** ("თუნი"), **სანდრო მარინიმ** ("კრინსი"), **მიგელ პორტილიომ** ("იანგ ბოიზი"), **კარლოს სილვამ, ჰენრიკ ბემმა, ფრედერიკ ბესეიერმა, ხავიერ ლოპესმა, არტიმ საქირიმ.**

რაც შეეხება მომსვლელებს, მთავარ მწვრთნელ ჰაინც ჰერმანთან ერთად ვადუცელები გახდნენ **ალეხანდრო და სილვა ალვეში** ("ლორკა დეპორტივო"), **დამირ ძომბიჩი** ("ბაზელი U21"), **ტიმ გროსკლაუსი** ("ბაზელი U21"), **რაფაელ როხრერი** ("ესხენ მაურენი"), **იან სომერი** ("ბაზელი").

გუშინ გავრცელებულ ცნობათა თანახმად, "ვადუცმა" კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი დაიმატა – 26 წლის **პასკალ ჩერონე**. "ვადუცის" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ცნობის თანახმად, ჩერონეს მარცხენა ფრთაზე, დაცვასა და ნახევარდაცვაში შეუძლია თამაში. ის აქამდე "სენტ გალენსა" და "თუნში" ასპარეზობდა. სხვათა შორის, 2005 წელს პასკალ ჩერონე სწორედ "თუნის" რიგებში გახდა შვეიცარიის ვიცე-ჩემპიონი. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ამ ტრანსფერის შესახებ ცნობა უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმაც გაავრცელა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფეხბურთელი ლიხტენშტაინელებმა უეფას განაცხადშიც შეიყვანეს.

დაბოლოს, დღეს 18 საათზე "ვადუცი" დილომში "ოლიმპიკის" მოედანზე ივარჯიშებს. ხვალ, 18 ივლისს, 17:30 სთ-ზე მიხეილ მესხის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში "დინამო" გამართავს პრესკონფერენციას. ხვალვე, მიხეილ მესხის სტადიონზე, 18 საათზე "ვადუცი", ხოლო 19 საათზე - "დინამო" ივარჯიშებენ. ზეგინდელ მატჩზე დასასწრები ბილეთის ფასი 3 ლარია და მიხეილ მესხის სტადიონის სალაროებში გაიყიდება.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# ამისულაშვილი სიმბოლურშია

## მისი გოლი რუსებმა საუკეთესოდ მიიჩნიეს

ნალჩიკის "სპარტაკი" მეორე წელიწადია რუსეთს აოცებს. პრემიერლიგის ყველაზე ღარიბი კლუბი საკმაოდ წარმატებით თამაშობს და ფეხბურთელებსაც კარიერის აწყობაში ეხმარება. XVI ტურში ყაბარდოელთა კლუბმა გასვლაზე სამარის "კრილია სოვეტოვს" 2:1 სძლია. გადამწყვეტი ბურთი 84-ე წუთზე ნალჩიკელთა ქართველმა მცველმა, ალეკო ამისულაშვილმა გაიტანა. გოლი ძალიან ლამაზი აღმოჩნდა - კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ალეკომ საჯარიმოში მიიღო, შემოტრიალდა და ძლიერად და ზუსტად დაარტყა.

ალეკომ დაცვაშიც კარგად ითამაშა, შეტევებშიც ხშირად და სასარგებლოდ ერთვებოდა, გადამწყვეტი ბურთი გაიტანა და შრომაც დაუფასდა: "სპორტ-ექსპრესმა" სეზონში მეორედ ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა. ასევე გადაწყვიტა ინტერნეტსააგენტო "რუს-ფუტბოლმა".

აქვე გეტყვით, რომ ალეკოს მიერ "კრილიას" კარში გატანილი ბურთი "РТР-სპორტმა" ტურში საუკეთესოდ დაასახელა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ქართული ტრანსფერები

| გუნდი | წავიდნენ | მოვიდნენ | გეგმები |
|---|---|---|---|
| ოლიმპი | ძოძუაშვილი (მწვრთნელი), რ. გოცირიძე (ამერი), ჩხარტიშვილი, ბერუაშვილი, ძამსაშვილი გ. ონიანი (კარლ ცაისი), სეთურიძე (კარლ ცაისი) | ვ. კილასონია (მთავარი მწვრთნელი გახდა), ქასრაშვილი (მწვრთნელი), აკუასაგა, სილაგაძე (სიონი), კოშკაძე (ბორჯომი), ჟივკოვიჩი, დვალი (ჩიხურა), რ. ჯიქია (არენდით მგლებიდან), ჯილდასი | შეკრება ურეკში, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი |
| დინამო | იაშვილი (თუნი), შაშიაშვილი (შტურმი), სირბილაძე (GMFF შვედეთი) | გველესიანი (ვიტ ჯორჯია), გონჩაროვი (დილა), ოვონო, აკირემი, ვუკუე, დობეში, ლობჟანიძე (ბათუმი) | შეკრება ბაკურიანსა და გერმანიაში. უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპი |
| ამერი | სევასტოპულო (მერანი), ნაჭყეპია (კარიერა დაასრულა), | კობაური (სიონი), ბ. ცხადაძე (სიონი), ა. ალავიძე (სიონი), შალამბერიძე (ბათუმი), რ. გოცირიძე (ოლიმპი), ვარდოსანიძე (დილა) | შეკრება ჩეხეთში. უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპი |
| ზესტაფონი | ბ. ნოზაძე (მერანი), გ. ჭელიძე, ბ. გოცირიძე, ლეანდრო, პარამონოვი, დოლონაძე | — | შეკრება ურეკსა და ანკარაში |
| ვიტ ჯორჯია | გელაშვილი (ბრიუგე), გველესიანი (დინამო), ა. კვახაძე (სატურნი), თ. კობიაშვილი (ბორჯომი), | — | შეკრება ყირიმში |
| სიონი | კ. ცხადაძე, ბ. კვარაცხელია (მწვრთნელები), კობაური (ამერი), ბ. ცხადაძე (ამერი), ა. ალავიძე (ამერი), დარასელია, სილაგაძე (ოლიმპი), მამალაძე, ბაბუნაშვილი, ექონია (მგლები), ლ. კორღალიძე, ორბელაძე (ოლიმპი) | აკობია (მწვრთნელი), გ. იაშვილი (კახეთი) | შეკრება ბოლნისში |
| ტორპედო | ჭედია (მგლები), ლაღაძე (ლოკომოტივი), გურული (ჟეტისუ, ყაზახეთი) | — | შეკრება ქუთაისში |
| ლოკომოტივი | გოჩაშვილი, სოსელია, ჩომახიძე | გ. ყიფიანი (დინამო), გ. მიქაძე (ჩიხურა), ხოხონიშვილი (ბათუმი), ლაღაძე (ტორპედო) | შეკრება ურეკში |
| ბათუმი | ლობჟანიძე (დინამო), შალამბერიძე (ამერი), ხოხონიშვილი (ლოკომოტივი), ვ. კვარაცხელია, სომხიშვილი (მესხეთი), ნერგაძე, კერესელიძე, თურმანიძე | — | შეკრება არ დაწყებულა |
| ბორჯომი | კაიდარაშვილი (მესხეთი) შ. ჯიქია (მესხეთი), კოშკაძე (ოლიმპი), ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი, კოდალაევი, ნადირაშვილი, ავალიანი | ვ. ხორგუაშვილი (ტირასპოლი), პ. ხორგუაშვილი (შერიფი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | შეკრება ბორჯომში |
| მერანი | ბალაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი, გაგუა (ცხინვალი), გლუნჩაძე (ცხინვალი) | კოსტავა (მწვრთნელი, ნ/დინამო), მამარდაშვილი (მეკარეთა მწვრთნელი), თევდორაძე (დილა), ავალიანი (მეშაქრე), სევასტოპულო (ამერი), ბ. ნოზაძე (ზესტაფონი), მგალობლიშვილი (გაგრა), ტყეშელაშვილი (გაგრა), ბოკუჩავა (ნ/დინამო), ლოლაძე (ნ/დინამო), ქობალია (ნ/დინამო), ტორონჯაძე (ნ/დინამო), ქემუხტაშვილი (ნ/დინამო), ლობჟანიძე (ნ/დინამო) | შეკრება კოჯორსა და ურეკში |
| ცხინვალი | — | ჟორჟიკაშვილი (მწვრთნელი) | — |
| მგლები | გ. თოდუა (მტზ-რიპო), რ. ჯიქია (არენდით ოლიმპი) | ექონია (სიონი), ჭედია (ტორპედო) | შეკრება ზუგდიდში |
| მესხეთი | მუშკუდიანი, კუკულაძე, გამცემლიძე (მაღაროელი), ილურიძე (მაღაროელი), მგელაძე, ა. ჩომახიძე (სამტრედია) | აფრიამაშვილი (გაგრა), მამუკაშვილი (გაგრა), კაიდარაშვილი (ბორჯომი), სომხიშვილი (ბათუმი) შ. ჯიქია (ბორჯომი) | შეკრება ახალციხეში |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერები

ეროვნული ბიბლიოთეკა



კოპა ამერიკა 2007. ფინალი

# დუნგას სასწაული

## სელესაოს თავკაცმა ბრწყინვალე ტაქტიკით ტურნირის ფავორიტად შერაცხული ალბისელესტე მიწასთან გაასწორა

**ბრაზილია-არგენტინა 3:0**

**ბრაზილია:** დონი, მაიკონი, ალექსი, ჟუანი, ჟილბერტო, მინეირო, ელანო (32. დანიელ ალვეში), ჟოსუე, ბაპტიშტა, ვაგნერ ლავი (90. ფერნანდო) რობინიო (90. დიეგო).

**არგენტინა:** აბონდანსიერი, ძანეტი, აიალა, მილიტო, ჰაინცე, მასკერანო, ვერონი 67. ლუჩო გონსალესი), კამბიასო (58. აიმარი), რიკელმე, მესი, ტევესი.

**გოლები:** 1:0 ბაპტიშტა (4), 2:0 აიალა (40-საკ. კარში), 3:0 დანიელ ალვეში (69).

დიახ, ბრაზილიამ ბევრისთვის მოულოდნელად არგენტინის ნაკრები მიწასთან გაასწორა და კოპა ამერიკას მერვედ დაეუფლა. ტრიუმფალური გამარჯვება **ჟულიო ბაპტიშტას, რობერტო ფაბიან აიალასა** (ავტოგოლი) და **დანიელ ალვეშის** გოლების წყალობით იქნა მოპოვებული. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ "სელესაომ" **კარლოს დუნგას** მიერ შემუშავებული ფანტასტიკური ტაქტიკა ბრწყინვალედ შეასრულა. წარმატების საქმეში ამ გარემოებამ ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშა. შეხვედრის დაწყებამდე არგენტინის ეროვნულ გუნდს ფავორიტად მიიჩნევდნენ, მაგრამ საოცრად სწორი და გამართული სტრატეგიის ფასად, დუნგას ბიჭებმა მოწინააღმდეგეს შანსი არ დაუტოვეს. გამორიცხული არ არის, ბრაზილიას მეტისმეტად პრაგმატული ფეხბურთის თამაში დასდონ ბრალად, მაგრამ მთავარი ის არის, რომ დუნგამ ნაკრებში მუშაობა დიდი ოფიციალური ტურნირის მოგებით დაიწყო. ამასთან, ვერც იმას ვიტყვით, რომ "სელესაო" ანტიფეხბურთით გავიდა ფონს. მრავალი ეპიზოდი მათ უმაღლეს დონეზე ჩაატარეს. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მაღალი კლასის მოთამაშეები ამ ქვეყანას არასოდეს მოაკლდება. იმედია, დუნგას არავინ დაძრახავს, რომ ამდენად მნიშვნელოვან დაპირისპირებაში შეგირდებს თამაშის გახსნა არ დაავალა. **მესისთვის, რიკელმესა** და **ტევესისთვის** თავისუფლად მოქმედების საშუალება რომ მიეცათ, **დონის** კართან, რა თქმა უნდა, უამრავი სახიფათო მომენტი შეიქმნებოდა. მოკლედ, მთავარი მწვრთნელის ჩანაფიქრმა შესანიშნავი შედეგი გამოიღო.

თამაში ჯეროვნად ჯერაც არ იყო გახურებული, როცა მადრიდის "რეალში" "არსენალიდან" დაბრუნებულმა ჟულიო ბაპტიშტამ ანგარიში გახსნა. მან შორეული გადაცემა მიიღო, ბურთი ჩინებულად დაამუშავა, რობერტო ფაბიან აიალა ეპიზოდიდან გამოთიშა და ფანტასტიკურად დაარტყა. **რობერტო აბონდანსიერი** აშკარად გაოგნებული და მოუმზადებელი ჩანდა. **ალფიო ბასილეს** შეგირდებმა შეტევა მყისიერად გააააქტიურეს. შედეგად, ბრაზილიას სერიოზული საფრთხე დაემუქრა. ხუან რომან რიკელმეს ძალიან ცოტა დააკლდა იმისთვის, რომ ლიონელ მესის მიერ წამოწყებული ეფექტური იერიში ლოგიკურ დასასრულამდე მიეყვანა. "ალბისელესტეს" მე-10 ნომერს არ გაუმართლა და ბურთი ძელს მოხვდა. მოგვიანებით, რიკელმეს კიდევ ერთხელ მოეცარა ხელი. მეორე მცდელობისას მას უკვე დონიმ აჯობა. "სელესაოს" გოლკიპერმა ურთულესი დარტყმა მოიგერია. ამის შემდეგ ბრაზილიელებმა თამაშის მოედნის ცენტრში გადატანა შეძლეს. ისინი თვალხილულ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ. შუახაზელები და ცენტრალური მცველები უაღრესად საიმედოდ თამაშობდნენ. არგენტინას გათანაბრების რეალური შანსი აღარ ჰქონია. ტაიმის მიწურულს კი აიალას დიდი უბედურება შეემთხვა. კაპიტანმა მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს ვარდნით საკუთარ კარში მიუჩინა ადგილი. ვეტერან მცველს ოდნავ მეტი ყურადღება და წინდახედულება რომ გამოეჩინა, თამაშში არ ჩაერთვებოდა და აბონდანსიერის ბურთის უმტკივნეულოდ დაუფლების საშუალებას მისცემდა. შესვენებამდე მცირე ხნით ადრე, მეორე გოლის გაშვებით არგენტინა კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სასწაული უნდა მომხდარიყო, რომ ბრაზილიელებს ეს ჰანდიკაპი გაენიავებინათ.

მეორე ტაიმში დუნგას ბიჭებმა კიდევ უფრო რაციონალური ფეხბურთი შემოგვთავაზეს. მესისა და რიკელმეს გასაქანს არ აძლევდნენ. მათმა გაუვნებელყოფამ ბასილეს გუნდზე დამთრგუნველად იმოქმედა. "სელესაოს" საქმე გამარჯვებამდე მშვიდად და აუღელვებლად მიჰყავდა. ამასობაში, 69-ე წუთიც დადგა. შეცვლაზე შესულმა დანიელ ალვეშმა მეკარესთან პირისპირ გასვლა შეძლო. "სევილიის" ვარსკვლავმა აბონდანსიერის შორეულ კუთხეში გაუტანა. ეს არ იყო აუღებელი დარტყმა, მაგრამ გამოცდილმა მეკარემ მაინც ვერაფერი გააწყო. სამბურთიანი უპირატესობით ბრაზილიელებმა დღის წესრიგიდან აბსოლუტურად ყველა კითხვა მოხსნეს. მათ ისღა დარჩენოდათ, უკანასკნელი ძალები მოეკრიბათ და საფინალო სასტვენამდე მიეღწიათ. ასეც მოხდა, არგეტინამ დარჩენილ მცირე დროში სასწაული, რა თქმა უნდა, ვერ მოახდინა და "სელესაომ" სამხრეთი ამერიკის ჩემპიონატზე მერვედ გაიმარჯვა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ **რობინიო** ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მართალია, ფინალში ის, ფაქტობრივად, არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ წინა შეხვედრებში აშკარად სასარგებლოდ ასპარეზობდა. სამეფო კლუბის ფორვარდი კოპა ამერიკის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. ახალგაზრდა მოთამაშისთვის ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, უდიდესი წარმატებაა.

ბუნებრივია, კარლოს დუნგა გამარჯვებით ძალიან ბედნიერი დარჩა. აი, რა განაცხადა მან სამწვრთნელო კარიერაში პირველი ტიტულის მოპოვების შემდეგ: *"ჩვენს ტრიუმფს მსოფლიოს უპოვარ და უპატრონო ბავშვებს ვუძღვნი. მათზე ყოველთვის ვფიქრობ და მსურს, ამ სასიხარულო, ბედნიერ წუთებშიც არ დავივიწყო. ბრაზილიის ნაკრებმა კოპა ამერიკა ცუდად დაიწყო. სადებიუტო შეხვედრაში მექსიკასთან წავაგეთ, მაგრამ შემდეგ თამაშის ხარისხი გავაუმჯობესეთ და დღეს ოქროს მედლებს დავეუფლეთ. ეკვადორთან, ჩილესა და ურუგვაისთან განუწყვეტლივ ვპროგრესირებდით. ახლა კი საუკეთესო შეხვედრა ჩავატარეთ. ჩემი აზრით, ტიუმფი ნაკრების კარგად დაბალანსებამ და რგოლების საუცხოო შეთამაშებამ განაპირობა. ბუნებრივია, საკუთარი შესაძლებლობების ურყევმა რწმენამაც სერიოზული როლი ითამაშა. არასოდეს დავეჭვებულვართ და არ გვიფიქრია, იქნებ ვერ გავიმარჯვოთ-თქო. ვენესუელაში მკაფიო მიზნებით ჩამოვედით. ეს მიზანი, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ, ჩემპიონობა გახლდათ. და აი, უმაღლეს მწვერვალზეც ავედით. არგენტინას თითქმის მთელი სამყარო ფავორიტად მიიჩნევდა, მაგრამ გამარჯვება ჩვენ გვერგო. ბიჭებმა მწვრთნელის ყველა მითითება პირნათლად შეასრულეს. ამისთვის ისინი გულითად მადლობასა და მხურვალე ოვაციას იმსახურებენ. სამშობლოში თავაწეული დავბრუნდებით. იქ ზეიმს გაგვიმართავენ. მიხარია, რომ კრიტიკოსთა სკეპტიკური პროგნოზები არ გამართლდა. შემიძლია, სიამაყით განვაცხადო, რომ კარლოს დუნგა მართალი კაცი ყოფილა. განა, არ ვამბობდი, ჩვენ ჩემპიონები გავხდებით-მეთქი?! მადლობა ღმერთს, ყველაფერი ასე კარგად დასრულდა. ათეულობით მილიონ ბრაზილიელს მივესალმები, ვეხუტები და დიდ გამარჯვებას ვულოცავ. გულშემატკივრების თანადგომას ყოველთვის ვგრძნობდი. ჩვენ მსოფლიოში საუკეთესო ტორსიდა გვყავს. გაუმარჯოს ბრაზილიას!"*



რეალი. ახალი ამბები

# მოურინიომ კანავაროს დაადგა თვალი

## ფაბრეგასი არ იყიდება, სესკს სნაიდერი შეცვლის?

**ჟოზე მოურინიო** მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის გაძლიერებაზე ისევ სერიოზულად ფიქრობს. "ჩელსის" თავკაცმა ზუსტად იცის მის გუნდს ყველაზე მეტად რომელი ფეხბურთელები სჭირდება. სეუ ჟოზეს ერთ-ერთი ფავორიტი **ფაბიო კანავაროა**. გუშინ ესპანურ პრესაში დაიწერა, რომ პორტუგალიელი სპეციალისტი "არისტოკრატების" ხელმძღვანელებს ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობისკენ მოუწოდებს. თუ "დიარიო მარკას" დავუჯერებთ, მოურინიომ **პიტერ კენიონს პრედრაგ მიატოვიჩთან** მოლაპარაკებების სასწრაფოდ დაწყება მოსთხოვა.

არასტაბილურად ჩატარებული სეზონის მიუხედავად, 2006 წლის საუკეთესო ფეხბურთელს უამრავმა გრანდმა დაადგა თვალი. ცნობილია, რომ მის გადაბირებას "იუვენტუსი" ცდილობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც "რეალის" წინააღმდეგობას წააწყდა, ხელი ჩაიქნია. ყოველ შემთხვევაში, "ბებერი ქალბატონის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **კლაუდიო რანიერიმ** ოფიციალურად განაცხადა, რომ კანავაროსთვის ბრძოლას აღარ აპირებს. მიუხედავად ამისა, ფაბიო მაინც ერთ-ერთ ყველაზე სატოვიჩმა ეს მოთხოვნა არ გაითვალისწინოს. მოგეხსენებათ, სეზონის დასრულების შემდეგ **კრისტოფ მეტცელდერისა** და **პეპეს** სახით "რეალს" ორი ცენტრალური მცველი დაემატა. შუსტერი არ მალავს, რომ კრისტოფს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად მოიაზრებს. პეპეში კი 30 მილიონი ევრო გადაიხადეს. ბუნებრივია, ამდენად ძვირადღირებული მოთამაშის სათადარიგოთა სკამზე დასმა სიგიჟე იქნება და სხვა არაფერი. მიატოვიჩის აზრით, კანავაროს შენახვის აუცილებლობა აღარ არსებობს. ამიტომ, გენერალური დირექტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ იტალიელის გაყიდვა საუკეთესო გადაწყვეტილება იქნება. შუსტერი ჯერჯერობით, პოზიციას არ თმობს. აქედან გამომდინარე, მიმომხილველებს უჭირთ იმის განჭვრეტა, თუ ვინ მოიგებს ამ ბრძოლას. ერთი რამ კი ნათელია, მიატოვიჩსა და შუსტერს სერიოზულად დალაპარაკება მოუწევთ.

ამასობაში, ფაბიოს კიდევ ერთი მთხოვნელი გამოუჩნდა. სამეფო კლუბის ოფისში "ნიუკასლის" მესვეურებმა ფაქსი გაგზავნეს და კანავაროს შეძენის სურვილი ოფიციალურად გამოხატეს.



ფაბიო კანავარო

სურველ სამიზნედ რჩება. მოარული ხმების თანახმად, მას "ინტერი" და "მილანიც" ინვევენ, მაგრამ ირკვევა, რომ ყველაზე სერიოზული მისწრაფება სწორედ მოურინიოს ამოძრავებს. მთავარი მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ იტალიელი **ჯონ ტერისთან** ერთად დაცვაში ფანტასტიკურ ტანდემს ჩამოაყალიბებს. ერთი შეხედვით, კანავაროსადმი დაინტერესება უცნაურად მოჩანს, რადგან ლონდონურმა გრანდმა მცირე ხნის წინათ ებრაელი ცენტრალური მცველი, **ბენ ჰაიმი** შეიძინეს. წესით, მას ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად უნდა მოიაზრებდნენ, თუმცა "ჩელსისთან" დაახლოებული პირები ამბობენ, თუ კანავაროს ტრანსფერი გაიჩარხება, მოურინიო არც დაფიქრდება, ბენ ჰაიმს სათადარიგოთა სკამზე უკრავს თავს და ტერის კანავაროს შეუწყვილებსო.

ალსანიშნავია, რომ კანავაროსთან დაკავშირებით, თავად სამეფო კლუბში სხვადასხვა სახის მოსაზრება გამოითქმის. რამდენიმე დღის წინათ **ბერნდ შუსტერმა** პირდაპირ განაცხადა, რომ აპენინელი მცველის დიდი იმედია აქვს. ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ხელმძღვანელობას მისი გუნდში დატოვება კატეგორიულად მოსთხოვა... მაგრამ შესაძლოა, ისე მოხდეს, პრედრაგ მიამოურინიოს "კაჭკაჭების" გააქტიურება არ მოსწონებია და კენიონს გვიან ღამით შეშფოთებულმა დაურეკა - იჩქარე, თორემ შეიძლება, დაგვაგვიანდესო...

გუშინ, კიდევ ერთი საინტერესო ამბავი გავიგეთ. "არსენალმა" სამეფო კლუბს **სესკ ფაბრეგასთან** დაკავშირებით საბოლოო უარი შეუთვალა. "მეთოფეების" შეტყობინება მოკლე და ლაკონურია - ახალგაზრდა კატალონიელი არ იყიდება. ამის შემდეგ დღის წესრიგში **ვესლი სნაიდერის** ტრანსფერი დადგა. მიატოვიჩმა "აიაქსის" ვარსკვლავით დაინტერესება ჟურნალისტებს პირადად გაუმხილა. მოსალოდნელია, რომ მადრიდული გიგანტის გენერალური დირექტორი უახლოეს დღეებში ამსტერდამს გაემგზავრება და სნაიდერის "ბერნაბეუზე" ჩაყვანას შეეცდება. კულუარებიდან გამოჟონილი ხმების თანახმად, "აიაქსის" მსვეურები 23 წლის ფხბურთელს 20 მილიონ ევროდ აფასებენ. ჯერჯერობით, არ ვიცით, რამდენად მისაღებია ეს თანხა ესპანელებისთვის. ისე კი ვესლი ევროპის ერთ-ერთ უნიჭიერეს მოთამაშედ მიიჩნევა. ექსპერტები მისი საგოლე ალღოთი ყოველთვის აღფრთოვანებულები არიან. მაგალითისთვის გეტყვით, რომ გასულ სეზონში ჩატარებულ 30 შეხვედრაში სნაიდერმა 18 გოლის გატანა შეძლო.

სავარაუდო ტრანსფერი

# პალასიო არსენალში?

## ამ კვირას არგენტინელ ფორვარდს ლონდონში ელიან

"არსენალი" საკუთარი სატრანსფერო რეკორდის გაუმჯობესებას აპირებს. გაზეთი "სანის" ინფორმაციით, **არსენ ვენგერის** გუნდი "ბოკა ხუნიორსის" ფორვარდ **როდრიგო პალასიოში** 15 მილიონ ფუნტს იხდის.

გაზეთის ცნობით, პალასიო ამ კვირას ჩაფრინდება ლონდონში, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და "არსენალთან" მრავალწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

იმასაც წერენ, რომ ახალ გუნდში პალასიო მე-14 ნომრით ითამაშებს. სწორედ ეს ნომერი ჰქონდა "მეთოფეთა" შემადგენლობაში ფრანგ **ტიერი ანრის**, რომელიც ამ ზაფხულს, 16 მილიონ ფუნტად "ბარსელონაში" გადავიდა.

კვირას, ვენესუელაში დასრულებულ კოპა ამერიკაზე, პალასიო არგენტინის ნაკრებთან ერთად თამაშობდა, მაგრამ იქ მხოლოდ შეცვლებზე შესვლისას ეძლეოდა თავის გამოჩენის შანსი. სულ კი, როდრიგოს არგენტინის ნაკრებში ხუთი მატჩი აქვს ჩატარებული.

რაც შეეხება "ბოკა ხუნიორსში" მის გამოსვლას, 25 წლის პალასიომ 79 მატჩში 39 გოლი გაიტანა. "ბოკამდე" ის "ურაკანსა" და "ბანფილდში" თამაშობდა. სხვათა შორის, იმ 15 მილიონიდან, რომელსაც "არსენალი" ამ ფორვარდში იხდის, თანხის ნაწილი ამ კლუბებსაც ეკუთვნით.

პალასიოს ყიდვამდე, "არსენალმა" ამ ზაფხულს, ახალი ფეხბურთელების შესაძენად უკვე 20 მილიონი ფუნტი დახარჯა. ლონდონელთა ახალწვეულები გახდნენ: "ფორვარდი **ედუარდო და სილვა**, მცველები **ბაკარი სანია** და **ჰავარდ ნორდტვეიტი** და მეკარე **ლუკას ფაბიანსკი**.

როგორც ზემოთ გითხარით, "არსენალი" პალასიოში მისთვის სარეკორდო თანხას იხდის. აქამდე ლონდონელთა სატრანსფერო რეკორდად 2000 წელს, ბორდოელი **სილვენ ვილტორის** შესაძენად დახარჯული 12.5 მილიონი ფუნტი ითვლებოდა.



როდრიგო პალასიო





ხუან რომან რიკელმე

ჩაშლილი ტრანსფერი

# რიკელმემ ატლეტიკო უარყო

## არგენტინელი ბოკაში დარჩენას აპირებს

ამ ზაფხულს, ევროპული კლუბების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე არგენტინის ნაკრების ფლეიმეიქერი **ხუან რომან რიკელმე** გახლავთ. ბოლო პერიოდში გავრცელებული ცნობების თანახმად, ყველაზე რეალურად ჩანდა არგენტინელის მადრიდის "ატლეტიკოში" გადასვლა. თუმცა, კოპა ამერიკას ფინალის შემდეგ, რომელშიც ბრაზილიამ არგენტინა 3:0 გაანადგურა, რიკელმემ მადრიდული კლუბის წინადადება უარყო.

როგორც რიკელმემ განაცხადა, ის კიდევ წელიწადი არენდით "ბოკა ხუნიორსში" ითამაშებს და შემდეგ იფიქრებს ევროპაში დაბრუნებაზე. შეგახსენებთ, ეს ფეხბურთელი "ვილიარეალის" საკუთრება გახლავთ.

რიკელმე იმასაც ადასტურებს, რომ მის მიმართ გერმანული კლუბებიც იჩენენ დაინტერესებას. კერძოდ, ეს გუნდები არიან "შალკე" და "ვოლფსბურგი".

*"ძალიან ბევრი წინადადება მაქვს გერმანიიდან, ამერიკიდან და სხვა ევროპული კლუბებიდან, მაგრამ ამ მომენტში მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს - ჩემი ოჯახისთვის არგენტინაში საცხოვრებელ სახლს ვეძებ"*, - ამბობს რიკელმე.

ფეხბურთს მიღმა

# ანრი ცოლს შორდება!

## ნიკოლმა ტიერის მობილური გაჩხრიკა და...

ინგლისური გაზეთები **ტიერი ანრის** მეგობრების განცხადებებს ავრცელებენ. მათი თქმით, 29 წლის ფრანგ სუპერვარსკვლავს პირად ცხოვრებაში სერიოზული პრობლემები აქვს და სულ მალე მეუღლეს გაეყრება. ტიერიმ თავის 27 წლის მეუღლე **ნიკოლზე** 2003 წელს იქორწინა და მასთან 2 წლის ქალიშვილი **თეაც** ჰყავს. ბრიტანული გამოცემები წერენ, რომ ნიკოლმა ქმრის მობილურ ტელეფონში უცნობ მანდილოსანთა საეჭვო ფოტოები და ტექსტური შეტყობინებები აღმოაჩინა, რის გამოც ცოლ-ქმარს შორის დიდ განხეთქილებას ჰქონდა ადგილი.



ნიკოლი და ტიერი

ცნობილია, რომ ცოტა ხნის წინათ ანრი პარიზში იმყოფებოდა, სადაც 5 დღე ცნობილი მსახიობის, **ევა ლონგორიას** ქორწილში იზეიმა. პარიზში ანრი მარტო ჩავიდა და როგორც მისი მეგობრები ამბობენ, საქორწინო ბეჭედი არ ეკეთა, რაც იმას მოწმობს, რომ სულ მალე "არსენალიდან" "ბარსელონაში" გადაბარგებული ფორვარდი ოჯახს ოფიციალურად დაშორდება. ნიკოლი ქალიშვილთან ერთად ლონდონშია...

ჩელსი

# მოურინიომ ბალაკს თითი დაუქნია

## ჟოზე 4-3-3-ს უბრუნდება...

ჩვენი ინგლისელი კოლეგების ცნობით, **რომან აბრამოვიჩსა** და **ჟოზე მოურინიოს** შორის უთანხმოება წარსულს ჩაბარდა. გაირკვა, რომ "ჩელსის" ბოსი და მწვრთნელი რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ, ერთმანეთს შეხვდნენ და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ჭორებს იმის თაობაზე, თითქოს რუსი ოლიგარქი პორტუგალიელ მწვრთნელს აღარ სწყალობდა, მოლო მოეღო.

*"მინდა, ძველ ტაქტიკას დავუბრუნდე და სამი თავდამსხმელით ვითამაშო. მით უმეტეს, რომ აქტუალური შემადგენლობა ამის საშუალებას იძლევა,"* - აცხადებს მოურინიო. თუ "ჩელსი" კვლავინდებურად 4-3-3 ტაქტიკით ითამაშებს, გერმანელ **მიხაელ ბალაკს** სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა ძალიან გაუჭირდება, რადგან ორ პოზიციაზე ერთდროულად ხუთი ნახევარმცველი განაცხადებს პრეტენზიას: **ფრენკ ლემპარდი, მიკაელ ესიენი, ჯონ ობი მიკელი** და **ლასანა დიარა**.

მოურინიო პირდაპირ ამბობს, რომ ბალაკი არანაირი პრივილეგიით არ ისარგებლებს. *"მიხაელს ძალიან ვაფასებ, ის შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ "ჩელსის" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა რთულია - ჩვენ ძალიან ბევრი უმაღლესი დონის ფეხბურთელი გვყავს. მომავალ სეზონში გუნდში უდიდესი კონკურენცია იქნება. ყველამ იცის, რომ მე არ ვარ ის მწვრთნელი, რომელიც სასტარტო შემადგენლობას სახეების ან სახელების მიხედვით აყენებს. დღეიდან, აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელი, მათ შორის ბალაკიც, ნულიდან იწყებს. და პირდაპირ ვამბობ, რომ მიხაელს სასტარტოში მოხვედრა გაუჭირდება,"* - განუცხადა მოურინიომ "გარდიანს".

### რეკობა ნაკრებს დაემშვიდობა

კოპა ამერიკას დამთავრებისთანავე, სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა ურუგვაის ნაკრების ვეტერანმა **ალვარო რეკობამ**.

31 წლის ფორვარდმა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთა რიგებში 58 მატჩი ჩაატარა და 12 გოლი გაიტანა.

წლევანდელ კოპაზე ურუგვაის ნაკრებმა მეოთხე ადგილი დაიკავა. თავად რეკობამ ტრავმის გამო გამოტოვა ჯგუფური ეტაპის პირველი ორი ტური და ამავე მიზეზით ვერ ითამაშა მექსიკასთან მე-3 ადგილისთვის მატჩი, რომელიც ურუგვაელებმა მექსიკასთან 1:3 წააგეს.

### ლიონი მცველებს კარგავს

საფრანგეთის ჩემპიონი "ლიონი" სამხრეთ კორეაში დიდ საერთაშორისო ტურნირში (მშვიდობის თასი) იღებს მონაწილეობას. ფრანგული კლუბი მთავარი პრიზისთვის ბრძოლას ცენტრალური მცველის, **სებასტიან სკილაჩის** გარეშე გააგრძელებს. "შიმიცუსთან" მოგებულ მატჩში (2:0), სკილაჩიმ ტერფის ტრავმა მიიღო და სასწრაფოდ საფრანგეთში დაბრუნდა.

*"პირველი გამოკვლევით ვერაფერი დავადგინეთ. არადა, სებასტიანს ფეხი ძალიან სტკივა და ერთი კვირა აბსოლუტური სიმშვიდე ესაჭიროება. ამის შემდეგ, მას კიდევ ერთ გამოკვლევას ჩავუტარებთ და იქ გაირკვევა, რამდენად სერიოზულია მისი დაზიანება"*, - ამბობს "ლიონის" ექიმი **ჟან-ჟაკ ამპრინო**.

თითქოს სკილაჩის ტრავმა არ ეყოფოდათ და მეორე დღეს, "ლიონმა" კიდევ ერთი მცველი დაკარგა. მშვიდობის თასზე ვერ ითამაშებს საფრანგეთის ჩემპიონის ახალწვეული, მსოფლიო ჩემპიონი **ფაბიო გროსო**.

### რინაუდო მეშახტეებში?

თითქმის გადაწყვეტილია, რომ დონეცკის "შახტიორში" გააგრძელებს კარიერას "პალერმოს" მცველი **ლეანდრო რინაუდო**.

ამ ფეხბურთელზე ბერგამოს "ატალანტაც" აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ უკრაინელებმა "პალერმოს" უფრო მეტი თანხა შესთავაზეს და რინაუდოს ბედს სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავს. იტალიური პრესის ცნობით, "შახტიორს" ეს ტრანსფერი 2.5 მილიონი ევრო დაუჯდება.

### ლივერპულს აურელიო დააკლდება

"ლივერპულის" მცველი **ფაბიო აურელიო** პრემიერლიგის სტარტს გამოტოვებს. ამის მიზეზი გახლავთ აქილევსის მყესის ტრავმა, რომელიც ფეხბურთელს უკვე დიდი ხანია აწუხებს.

*"ფაბიო მზად არ არის. მას სრულად გამოსაჯანმრთელებლად კიდევ ერთი თვე დასჭირდება"*, - განაცხადა "ლივერპულის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე მთავარმა მწვრთნელმა **რაფა ბენიტესმა**.

### რუნიმ ჰამერი შეიძინა

**უეინ რუნიმ** თავისი საავტომობილო პარკი კიდევ ერთი მოდელით შეავსო. "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდმა 70 ათასი ფუნტი გაიმეტა Hummer H2-ის შესაძენად.

ცნობისთვის, აქამდე რუნის გარაჟში სამი მანქანა იდგა: Mercedes G55, Aston Martin და Lamborghini Gallardo Spyder.

ავტომობილების სარეალიზაციო კომპანიის წარმომადგენელმა ასეთი რამ განაცხადა: *"დიდი ხანია, რაც რუნიმ ამ მანქანას დაადგა თვალი. H2 რეპის შემსრულებელთა შორის განსაკუთრებით პოპულარულია. ახლა კი, მისი შეძენა უეინმა გადაწყვიტა"*.

### ბელიონი ბორდოში ჩაირიცხა

როგორც უეფას ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, "ბორდომ" "ნიცადან" ფორვარდი **დავიდ ბელიონი** შეიძინა.

"მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილ ფეხბურთელთან 4-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა. "ბორდოს" ეს ტრანსფერი 2 მილიონი ევრო დაუჯდა.

### ლორია ეინდჰოვენში?

ყაზახეთის ნაკრების მეკარე **დავით ლორია** შესაძლოა ჰოლანდიის ჩემპიონის, "ეინდჰოვენის" შემადგენლობაში ჩაირიცხოს.

ჰოლანდიური პრესა იტყობინება, რომ კონტრაქტის გაფორმების საკითხი უახლოეს ერთ კვირაში უნდა მოგვარდეს. როგორც აღმოჩნდა, "ეინდჰოვენის" სკაუტები ლორიას თამაშით ევრო 2008-ის შესარჩევი მატჩისას მოიხიბლნენ, როცა ყაზახეთი ბელგიას ხვდებოდა.

### ნიუკასლმა რონალდინიო მოინდომა

სენსაციური და დაუჯერებელი ინფორმაცია გაავრცელეს ინგლისელმა ჟურნალისტებმა. "ნიუკასლი" "ბარსელონას" **რონალდინიოს** შეძენის თაობაზე დაუკავშირდა და ბრაზილიელი ნახევარმცველის სანაცვლოდ კატალონელებს 58 მილიონი ევრო შესთავაზა. ჯერჯერობით, ეს ცნობა ოფიციალურად არცერთ მხარეს არ დაუდასტურებია.

უფრო დამაჯერებლი ჩანს მეორე ინფორმაცია, რომელიც ამ ინგლისურ კლუბს ეხება. კერძოდ, "ნიუკასლის" ახალი მთავარი მწვრთნელი **სემ ელერდაისი** პრიორიტეტად დაცვის გაძლიერებას მიიჩნევს და ამ მიზნით ორი ფეხბურთელის შეძენა აქვს დაგეგმილი. ესენი არიან ფრანგი მცველები - **ფრანკ კოდრუ** "ფულჰემიდან" და **როდომ ფანი** "ნიცადან".

სავარაუდოდ, კოდრუს ფასი 3 მილიონი ფუნტი იქნება, ხოლო ფანიში "ნიცა 3.5 მილიონ ფუნტს ითხოვს.

### ადვოკაატი კენგურუებს გაწვრთნის?

ავსტრალიის ნაკრები ახალი მთავარი მწვრთნელის ძიებაშია. დღეისთვის, "სოკერუზს" **გრემ არნოლდი** ავარჯიშებს, მაგრამ ავსტრალიელებს უფრო ავტორიტეტული სპეციალისტის მიწვევა სურთ.

ამ პოსტზე მთავარ კანდიდატად სანკტ-პეტერბურგის "ზენიტის" დამრიგებელი, ჰოლანდიელი **დიკ ადვოკაატი** განიხილება. Fox News-ის ცნობით, შემოდგომაზე, რუსეთის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ადვოკაატმა შესაძლოა მართლაც ჩაიბაროს ავსტრალიის ნაკრები.

სხვათა შორის, ავსტრალიელები ამ ჰოლანდიელის კანდიდატურას 2005 წელსაც განიხილავდნენ, მაგრამ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტი შესარჩევი მატჩების წინ, ნაკრები ადვოკაატის თანამემამულეს, **გუუს ჰიდინკს** ჩააბარეს, რომელმაც გაიყვანა კიდეც გუნდი ფინალურ ეტაპზე.

ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ფრენკ ლოუი** მზად არის იმაზე დიდი ხელფასი დაუნიშნოს ადვოკაატს, ვიდრე მას "ზენიტში" უხდიან.

### რეალი მარსელოს გაუშვებს

მადრიდის "რეალი" ჰოლანდიელი ვუნდერკინდის **როისტონ დრენტეს** ტრანსფერზე მუშაობს. ეს ფეხბურთელი ამპლუით მარცხენა ნახევარმცველია და თუ მადრიდულმა კლუბმა მისი გადაბირება მოახერხა, მაშინ ამავე ამპლუაში მოთამაშე მარსელოს არენდით სხვა გუნდში გაუშვებს.

Calciomercato-ს ცნობით, ახალგაზრდა ფეხბურთელზე პრეტენზიას "ხეტაფე", "ესპანიოლი", "რასინგი" და "ვალიადოლიდი" აცხადებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# ჰიტცფელდი: ტაქტიკური დისციპლინა!

## რეკორდმაისტერში გადაღლილობა იგრძნობა...

**როგორც იცით, "ბაიერნი" მომავალი სეზონისთვის დონაუეშინგენში ემზადება. მიუნხენური გიგანტის მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფელდმა, გუშინ სასტარტო შემადგენლობის შესახებ ღიად ისაუბრა და ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებსაც აქტუალური მდგომარეობით ძირითად შემადგენლობაში ადგილი განაღდებული აქვთ. ამას გარდა, სიახლეა ისიც, რომ "გენერალმა" ბრაზილიელ მცველ ლუსიოს საბოლოოდ აუკრძალა შეტევებში წასვლა. ფრანკ რიბერიმ, მარკ ვან ბომელმა და ლუკა ტონიმ კი მცირე ტრავმები მიიღეს...**

"ბაიერნის" სასტარტო შემადგენლობაზე ბევრი დაიწერა და ითქვა. **ჰიტცფელდს** ამ მხრივ ახალი არაფერი უთქვამს და ზუსტად ის შემადგენლობა დაასახელა, რომელსაც ჩვენი გერმანელი კოლეგები ვარაუდობდნენ. სამაგიეროდ, ეს უკვე ოფიციალური ვარიანტია და არა ვარაუდი. მეკარე და კაპიტანი, რა თქმა უნდა, **ოლივერ კანი** იქნება და ჰიტცფელდმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ტიტანს სკამზე ჯდომის საფრთხე არ ემუქრება. რაკი ეს კანის ბოლო სეზონია, გაჟღერდა მოსაზრებები, რომ ოტმარი სათადარიგო მეკარე **მიხაელ რენზინგს**, რომელმაც კანი უნდა შეცვალოს, ძირითად შემადგენლობას ნელ-ნელა შეაჩვევდა. მაგრამ "გენერალი" ამ ინფორმაციას უარყოფს და ამბობს, რომ რენზინგი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითამაშებს, თუ კანი ტრავმირებული ან დისკვალიფიცირებული იქნება.

სანამ **ვილი სანიოლი** გამოჯანმრთელდება, მარჯვენა მცველის ფუნქციებს **ფილიპ ლამი** შეასრულებს, მარცხნივ კი მიონხენგლადბახის "ბორუსიიდან" ნაყიდი **მარსელ იანსენი** გამწესდება. ცენტრალური მცველის 2 პოზიციაზე კი, ჰიტცფელდმა ამ ეტაპზე უპირატესობა **ლუსიოსა** და **დანიელ ვან ბუიტენს** მიანიჭა. მარჯვენა ნახევარმცველი **ხოსე ერნესტო სოსა** უნდა იყოს, რომელიც მოსამზადებელ შეკრებაზე ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ცენტრში **მარკ ვან ბომელი** და **ზე რობერტო** ითამაშებენ. სხვათა შორის, ოტმარი ბრაზილიელის მომზადების დონით, მონდომებითა და შემართებით ძალიან კმაყოფილია. ჰიტცფელდი პირდაპირ ამბობს, არ ველოდი, თუ ზე ასეთ კარგ ფორმაში იქნებოდა, მჯერა, რომ ის ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი იარაღი იქნებაო. მარცხენა ფლანგს კი **რიბერი** ჩაიბარებს. თავდასხმა წინდაწინვე ცნობილი იყო: **მიროსლავ კლოზე** და **ლუკა ტონი**. აქვე გეტყვით, რომ ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ბავარიული გიგანტის წინა ხაზს "კლონი" შეარქვეს.

ამრიგად, **ბასტიან შვაინშტაიგერი** და **ლუკას პოდოლსკი**, მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირები, როგორც მოსალოდნელი იყო, სკამზე გამწესდებიან. ჰიტცფელდის თქმით, შვაინი და პოლდი თავიანთ შანსებს აუცილებლად მიიღებენ, მაგრამ ამ ეტაპზე ძირითად შემადგენლობაში არ მოიაზრებენ. დასამალი არაფერია, ეს ასეაო, ამბობს "გენერალი".



ოტმარ ჰიტცფელდი

ოტმარი დაცვის ხაზის მომზადებას უდიდეს ყურადღებას უთმობს. პირველ რიგში იმის გამო, რომ გასულ სეზონში რეკორდმაისტერის უმთავრესი პრობლემა სწორედ დაცვის ხაზის არასტაბილურობა იყო. და ესეც არ იყოს, "ბაიერნს" ცენტრალური მცველი არ უყიდია, რის გამოც, უკანა ხაზი ყველაზე მეტ ყურადღებას მოითხოვს. *"მეკითხებიან, რატომ არ შევიძინეთ მცველი. ჩემი აზრით, ეს არ იყო საჭირო, რადგან ჩვენ ისედაც ძალიან ძლიერი უკანახაზელები გვყავს. მთავარი ის გახლავთ, რომ მათ სწორი დავალებები მივცეთ. დაცვაში კომპაქტურები უნდა გავხდეთ, ეს ფაქტია. ჩემპიონი ის გუნდი კი არ ხდება, რომელსაც ყველაზე მეტი გოლი გააქვს, არამედ ის, რომელსაც საუკეთესო დაცვა ჰყავს. გასულ სეზონში ამ მხრივ აშკარად ძალიან ბევრი პრობლემა გვქონდა,"* - ამბობს ჰიტცფელდი.

ერთი რამ უკვე ცხადია, ლუსიოს შეტევებში ჩართვა კატეგორიულად აეკრძალა. ასე რომ, ბრაზილიელი მცველი, რომელსაც წინ წასვლა და დრიბლინგის წამოწყება ძალიან უყვარს, ამიერიდან მუდმივად დაცვაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ისევე, როგორც მისი მეწყვილე ვან ბუიტენი, რომელიც ასევე ხშირად ერთვებოდა შეტევებში. *"გასულ სეზონში ხშირი იყო მომენტები, როცა ვან ბუიტენიცა და ლუსიოც წინ იყვნენ ხოლმე და მეტოქე გუნდის კონტრიერიშისას დაცვა შიშველი რჩებოდა. ეს დაუშვებელია და ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს. შეტევაში ისედაც ძალიან კარგი ფეხბურთელები გვყავს, იქ ლუსიო და ვან ბუიტენი საჭირონი აღარ არიან. გამონაკლისი მხოლოდ კუთხურები იქნება. სტანდარტულების დროს, ისიც მაშინ, თუ გოლი ძალიან გვჭირდება, ერთ-ერთ მათგანს მეტოქის საჯარიმოში ჩასვლის უფლება ექნება, ალბათ უფრო ვან ბუიტენს"*, - ეს "ბაიერნის" გენერალური მენეჯერის **ული ჰიონესის** სიტყვებია. ჰიტცფელდი ამ ყველაფერს ორ სიტყვაში აერთიანებს: ტაქტიკური დისციპლინა, რაც რეკორდმაისტერს ძალიან სჭირდება.

ფეხბურთელები პირდაპირ ამბობენ, რომ ვარჯიშები ძალიან დამღლელია. თუმცა ეს მხოლოდ ახალ მოთამაშეებს ეხება, ძველები კი არ ჩივიან, რადგან მათ კარგად ახსოვთ **ფელიქს მაგათის** ვარჯიშები, ანუ, ჯოჯოხეთი, როგორც **მარტინ დემიკელისი** ამბობს. მიუხედავად ამისა, ვან ბომელს, რიბერისა და ტონის გადაღლილობა დაეტყოთ. ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ტრავმა მიიღო და ჯერ უცნობია, როდის განაახლებს ვარჯიშებს. რიბერი კი ვარჯიშობს, მაგრამ მხოლოდ მსუბუქად, რადგან მანაც მცირე ტრავმა მიიღო და ექიმების თქმით, მძიმე დატვირთვები მისთვის ჯერჯერობით, აღარ შეიძლება. რაც შეეხება ტონის: იტალიელი "ალბშტადტთან" ტესტ-მატჩში დაშავდა, მუხლი იტკინა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. ექიმებს იტალიელისთვის საფუძვლიანი გამოკვლევა გუშინ უნდა ჩაეტარებინათ.

**გოტფრიდ ლენცი**



მიროსლავ კლოზე

ინტერვიუ მიროსლავ კლოზესთან

# მგონი, ბრემენში შურით სკდებიან!

## მიროს აზრით, ბაიერნზე უკეთესი თავდასხმა მხოლოდ ბარსელონას ჰყავს...

**მაშ ასე: მიროსლავ კლოზეს გარშემო ატეხილი დავი-დარაბა დასრულდა - მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, რომელსაც ძალიან მძიმე სეზონი ჰქონდა, მიუნხენის "ბაიერნის" ფეხბურთელია, სადაც კიდევ ერთ ახალწვეულ ლუკა ტონისთან ერთად, თავდასხმაში მრისხანე დუეტი უნდა შექმნას. ტესტ-მატჩებში აშკარად ჩანს, რომ კლოზესა და ტონის წყვილი მართლაც გრანდიოზულია, მაგრამ ეს ოფიციალურ შეხვედრებშიც უნდა დამტკიცდეს. ფაქტი ისაა, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგები მიროს სახეზე, ძლივს ისევ ღიმილს ხედავენ. კლოზეს ეტყობა, რომ ბედნიერია - სულ კარგ ხასიათზეა და, რაც მთავარია, გოლებიც გააქვს. ინტერვიუში, რომელსაც ქვემოთ გაეცნობით, ბუნდესთავდამსხმელმა არაერთ საინტერესო კითხვას გასცა პასუხი.**

**- ჰერ კლოზე, როგორია თქვენი პირველი ბაიერნული შთაბეჭდილებები?**

- აბსოლუტურად პოზიტიური. თანაგუნდელებმა შესანიშნავად მიმიღეს. ვხედავ, რომ ეს გუნდი ცოცხალია და გამარჯვების დაუოკებელი სურვილი ამოძრავებს. ეს ყველა ვარჯიშზე იგრძნობა. ფეხბურთელები ერთმანეთს შესანიშნავად ექცევიან და, ერთი სიტყვით, აქ ყველაფერი იდეალურადაა.

**- ენის პრობლემა არ არსებობს?**

- ტონისთან, სოსასა და რიბერისთან კომუნიკაციას საფეხბურთო ენაზე ვამყარებ (იცინის). ცოტა ინგლისური მეც ვიცი და ესეც არ იყოს, მარტინ დემიკელისს ახალი ფუნქცია მოვუძებნეთ - თარჯიმნისა. და როგორც ამ დღეებში შევამჩნიე, ჰიტცფელდმა იტალიური საკმაოდ კარგად იცის.

**- პარტნიორ ტონისთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

- მასთან პირადი საუბრისთვის ჯერ ვერ მოვიცალე. ლუკასთან ოთახში ჯერ არ ვყოფილვარ და არც ის ყოფილა ჩემთან. მოედანზე კი, როცა საქმე ტაქტიკა-სტრატეგიას ეხება, როცა ჰიტცფელდი რჩევა-დარიგებებს გვაძლევს, ერთმანეთს შესანიშნავად ვუგებთ. ორივემ ვიცით, რაც გვევალება და როგორ უნდა ვიმოძრაოთ. მთავარიც სწორედ ესაა. ტონი ბურთს კარგად ფლობს და საჰაერო ორთაბრძოლების დროს ხომ საერთოდ იდეალურია. ვფიქრობ, ერთმანეთს ვავსებთ, მაღალ ბურთებს კი, აუცილებლად გავინაწილებთ (იცინის). რაც უფრო დიდხანს ვთამაშობთ ერთად, მით უფრო უკეთესად ვუგებთ ერთმანეთს.

**- ფიზმომზადების მხრივ, როგორ არის საქმე?**

- დამღლელი სეზონის შემდეგ, ორგანიზმი კარგად ისვენებს. ვარჯიშები საკმაოდ მძიმეა, მაგრამ სასიამოვნო. მთავარია, რომ ბუნდესლიგის სტარტს საუკეთესო ფორმაში მყოფი შევხვდე.

**- ფრანკ რიბერიზე რას იტყოდით?**

- (იცინის) ფრანკი ნამდვილად გიჟია! დაუჯერებელია ის ყველაფერი, რასაც ის ვარჯიშების დროს აკეთებს. აშკარად ეტყობა, რომ ფეხბურთით სუნთქავს, ფეხბურთს გრძნობს. გენიალური ფეხბურთელია, დაუნდობელი, შეუდრეკელი და მუდამ მოტივირებული. მოკლედ, რიბერი, უბრალოდ, შესანიშნავი ვინმეა - სრულყოფილი ფეხბურთელი. ერთი ეგაა, რომ ინგლისური არ იცის.

**- გერმანიის ჩემპიონატის პირველ ტურებში რას ელით?**

- ვფიქრობ, პირველივე თამაშებში გამოჩნდება, რაც შეგვიძლია და რომ ტყუილად არ ვამბობთ, რომ სამივე ტურნირის მოგება გვინდა. "ბაიერნი" აუცილებლად ლტოლვილის რანგში იქნება, რადგან მდევრების როლში ყოფნა სხვებს მოუწევთ. ერთ რამეს გადაჭრით ვიტყვი: როცა რიბერი ან სოსა საჯარიმოში ჩააწოდებენ, ჩვენს მეტოქეს საჰაერო ორთაბრძოლის მოგება ძალიან გაუჭირდება .

**- ბრემენში თქვენზე ცუდი ტონით საუბრობენ. ფრინგსმა და ბოროვსკიმ უკვე გაგაკრიტიკეს. არც ალოფსია ჩუმად...**

- ვცდილობ, ამაზე ყურადღება არ გავამახვილო. ისე, წინასწარ ვიცოდი, ვინ რას იტყოდა და ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად ამიხდა. მგონი, მათ შურთ. შესაძლოა, "ვერდერს" "ბაიერნისა" შურს, რადგან წლეულს რეკორდმაისტერმა "ვერდერი" ტრანსფერებში აშკარად დაჩაგრა.

**- ხომ არ გავიწყდებათ, რომ რამდენიმე კვირის წინათ "ვერდერის" ფეხბურთელი იყავით?**

- რა თქმა უნდა, არა.

**- როგორ ფიქრობთ, არის თუ არა თქვენში ე.წ. "ბაიერნის" გენები?**

- არა, მაგრამ იქნებ, როგორმე გადმომინერგონ (იცინის).

**- ჰყავს თუ არა რეკორდმაისტერს ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო წინა ხაზი?**

- თუ "ბარსელონას" არ ჩავთვლით, სადაც ანრი, რონალდინიო, მესი და ეტოო ირიცხებიან, არავიზე ნაკლები თავდასხმა არ გვყავს. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ სკამზე ლუკას პოდოლსკი გვიზის.

**- პოლდი სკამისთვისაა განწირული და მასთან ურთიერთობა ხომ არ დაგეძაბებათ?**

- არავითარ შემთხვევაში, ეს გამორიცხულია. მასთან ისეთივე ურთიერთობა მაქვს, როგორც გერმანიის ნაკრებში - ძალიან მეგობრული. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმირებულია, სულ კარგ ხასიათზეა. იმედი მაქვს, რომ მალე გამოჯანმრთელდება, რადგან "ბაიერნს" ის ძალიან სჭირდება.

**- ყველაზე მეტად რომელი ტიტულის მოგება გსურთ?**

- ისე, სამივე ტიტული მინდა. ყოველ შემთხვევაში, მსურს, რომ ყოველ სეზონში მინიმუმ ერთი ტიტული მოვიგო. მომავალ სეზონში უპირატესობას, რა თქმა უნდა, გერმანიის ჩემპიონობას მივანიჭებ.

**- მართალია, ჯერ დიდი ხანი არ გასულა მას მერე, რაც "ბაიერნში" ხართ, მაგრამ განსხვავებებს უკვე შეამჩნევდით. რით განსხვავდება რეკორდმაისტერი "ვერდერისგან"?**

- ბრემენში მწვანე და თეთრი ფერებია, მიუნხენში კი, მწვანეს წითელი ჩაენაცვლა... ხუმრობა იქით იყოს და "ბაიერნში" პროფესიონალიზმის მწვერვალი იგრძნობა. აქ ყველაფერი იდეალურად და სრულყოფილადაა ორგანიზებული. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა.

**- ახალი სახლი უკვე იპოვეთ?**

- ბევრი სახლი ვნახე, მაგრამ არჩევანი ჯერ არ გამიკეთებია. რა პრობლემაა, სახლს მალე ვიპოვი. ამ ქალაქში ჩემთვის მოსაწონი ბინა ნამდვილად მოიძებნება...

**გოტფრიდ ლენცი**

მწვრთნელი

# მათეუსი: დამნიშნეთ ჰიტცფელდის ასისტენტად!

"ზალცბურგიდან" გამოგდებულ **ლოთარ მათეუსს** "ბაიერნში" მუშაობა ძალიან რომ უნდა, ამაზე არაერთხელ დაგვიწერია. ლოთარმა, ამას წინათ, განაცხადა, *მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს დიდხანს ვერსად ვერ ვძლებ, ვფიქრობ, რომ "ბაიერნის" განვრთნის ღირსი ვარო.* ახლა კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათეუსი რეკორდმაისტერის შეფებს ეხვეწება, გუნდი მე ჩამაბარეთო.

*"ოტმარ ჰიტცფელდის ასისტენტად მაინც დამნიშნონ. ვფიქრობ, რომ ეს იდეალური გადაწყვეტილება იქნება. ჰიტცფელდი და მე ერთმანეთს კარგად ვუგებთ და დარწმუნებული ვარ, რომ ამ პოსტზე გამოვდგები. ისე კი იმედი მაქვს, რომ ერთხელაც რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი გავხდები. ფრანც ბეკენბაუერი ჩემს შესაძლებლობებში დარწმუნებულია. ესეც არ იყოს, ჰიონესთან და რუმენიგესთანაც შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს,"* - განუცხადა მათეუსმა "მიუნხენერ აბენდცაითუნგს". შეგახსენებთ, რომ თავის დროზე რუმენიგემ მათეუსი "ბაიერნისთვის" პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა. ლოთარი ამბობს, რომ მასსა და კალეს შორის ურთიერთობა ისევ დათბა.



ლოთარ მათეუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალათასარაი. მოსალოდნელი ტრანსფერი

# თურქები ბაპტიშტას სტამბოლისკენ ექაჩებიან



ჟულიო ბაპტიშტა

"გალათასარაის" ვიცეპრეზიდენტი, **ადნან პოლატი** მადრიდში ჩაფრინდა. მისი ვიზიტის ერთადერთი მიზანი, **ჟულიო ბაპტიშტას** გადაბირებაა. ცნობილია, რომ ბრაზილიელმა ფორვარდმა გასული სეზონი იჯარის წესით "არსენალში" გაატარა. ის არც ახლა მიიჩნევა ხელშეუხებელ ფეხბურთელად, ამიტომ **პრედრაგ მიატოვიჩი** თურქი კოლეგის წინადადებებს დიდი ინტერესით მოისმენს. საქმეს ის ართულებს, რომ ჟულიო ვენესუელიდან ჯერ არ დაბრუნებულა. მოგეხსენებათ, კოპა ამერიკის ფინალში მან პირველი გოლი გაიტანა. სავარაუდოა, რომ ამით გაყოყოჩებული ცენტრფორვარდი სამეფო კლუბში თავაწეული გამოცხადდება და საკუთარ უფლებებზე უფრო თამამად ისაუბრებს. ის არ მალავს, რომ უპირველეს ამოცანად "სანტიაგო ბერნაბეუზე" დარჩენა აქვს დასახული. ექსპერტთა ვარაუდით, "გალათასარაის" მიზნის მიღწევა საკმაოდ გაუჭირდება, რადგან სამმხრივ მოლაპარაკებებში სირთულეები გარდაუვალი იქნება. კაცმა რომ თქვას, ბაპტიშტასთვის გაცილებით უკეთესი იქნება, მომავალი სეზონი რომელიმე ელიტარულ ევროპულ ლიგაში გაატაროს. მით უმეტეს, დაახლოებით ერთ თვეში ესპანეთის საემიგრაციო სამსახური მას ქვეყნის მოქალაქეობას მიანიჭებს. ესპანური პასპორტი კი ფორვარდს ევროპელად აქცევს. ცნობილია, ბევერი კონტინენტის გრანდებსა და საშუალო შესაძლებლობების მქონე კლუბებს არაევროკავშირელებთან დაკავშირებული ლიმიტის გამო ლეგიონერების შეძენა დიდად არ ხიბლავთ. ასე რომ, ბაპტიშტასთვის მართლაც უპრიანი იქნება, არ იჩქაროს და უფრო ამბიციური გუნდების შეთავაზებებს დაელოდოს.

ვალენსია. პრეზიდენტის მორიგი მცდელობა

# ბაუტისტა სოლერი ლუჩო გონსალესს ვერ ივიწყებს



ლუჩო გონსალესი

გუშინ, "ვალენსიამ" ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. პირველი ვარჯიში ფორმალური ხასიათის იყო. ფეხბურთელებმა თითქმის მთელი დრო სამედიცინო შემოწმებებს მოანდომეს. **კიკე ფლორესს** აინტერესებდა, როგორი იყო მისი შეგირდების ჯანმრთელობის მდგომარეობა. გაირკვა, რომ სერიოზული ტრავმა არავის აწუხებს. ექიმებმა ზოგს სრული დატვირთვით ვარჯიშის უფლება მისცეს. რამდენიმე მოთამაშეზე კი ფლორესს ურჩიეს, ისინი დიდად არ დაელალა. ვალენსიელებმა ცოტა ხნით იძუნძულეს, შემდეგ გამამხნევებელი ვარჯიშები ჩაატარეს, ბოლოს კი ბურთიც გააგორეს. სენიორ ფლორესის განკარგულებაში მხოლოდ **დავიდ ალბელდა** არ გახლდათ. იგი მცირე ხნის წინათ დაქორწინდა და ხელმძღვანელობას შვებულების რამდენიმე დღით გახანგრძლივება სთხოვა. სამაგიეროდ, ბაზაზე მისულმა გულშემატკივრებმა ახალწვეულები იხილეს. ინჩასები **ჰილდებრანდს, ალექსისსა** და **არისმენდის** გულწრფელად მიესალმნენ. "ღამურებს" ერთწლიანი იჯარის შემდეგ **მარკო კანერია** დაუბრუნდათ. პორტუგალიელმა ნახევარმცველმა გასული სეზონი ლისაბონის "სპორტინგში" გაატარა.

მესტალიელები სამი ტრანსფერით დაკმაყოფილებას არ აპირებენ. მათ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის გადაბირება აქვთ დაგეგმილი. ამ ეტაპზე ყველაზე სერიოზულად **ლუჩო გონსალესის** კანდიდატურა განიხილება. აღსანიშნავია, რომ "ვალენსია" მის შეძენას ჯერ კიდევ მაისში შეეცადა, მაგრამ "პორტოს" მესვეურებმა ის მეტისმეტად ძვირად, 20 მილიონ ევროდ შეაფასეს. **ხუან ბაუტისტა სოლერს** არ დაუმალავს, რომ ამხელა თანხას ვერ შეწვდებოდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, "ღამურების" პრეზიდენტი" იმედს არ ჰკარგავს და პორტუგალიელ კოლეგებთან კიდევ ერთხელ დაკავშირებას აპირებს. მას სჯერა, რომ "პორტო" ამჯერად უფრო რეალურ თანხას დაასახელებს. და მაინც, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, სენიორ სოლერი **ვესლი სნაიდერის** ტრანსფერზე მუშაობას შეუდგება. "ვალენსიის" უმაღლეს ხელისუფალს ძალიან ცოტა დრო აქვს, რადგან "აიაქსის" შემტევი ნახევარმცველით მადრიდის "რეალიც" სერიოზულად დაინტერესდა.

ბარსელონა

# მოტა და ჟიული მანჩესტერ სიტიში?

## ფრანგ გარემარბს რომამაც დაადგა თვალი, მაგრამ მხარეები თანხაზე ვერ თანხმდებიან



ლუდოვიკ ჟიული

ტიერი ანრის, იაია ტურეს, ერიკ აბიდალისა და გაბრიელ მილიტოს გადაბირების შემდეგ, "ბარსელონის" უპირველეს საზრუნავად გამოუსადეგარი ფეხბურთელების თავიდან მოცილება იქცა. დასამალი არ არის, რომ მსოფლიო დონის ოთხი ვარსკვლავის მოსვლის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად კონკურენცია ერთი-ორად გაიზრდება. კატალონიური გრანდის ხელმძღვანელობას კი მუქთა ხელფასის გადახდა არავისთვის სურს. ამიტომ, **ჩიკი ბეგირისტაინმა** ევროპულ კლუბებს თამამი მოქმედებისკენ მოუწოდა. "ბარსას" ხელშეუხებელი ბიჭების ვინაობა მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი. მათ გარდა, ყველას შეძენაა შესაძლებელი. გენერალური დირექტორის მოწოდებას ყველაზე ადრე "მანჩესტერ სიტი" გამოეხმაურა. ინგლისურ კლუბში ახლახანს დანიშნული **სვენ გორან ერიქსონი ტიაგო მოტათი და ლუდოვიკ ჟიულით** დაინტერესდა. შვედი სპეციალისტი იმედოვნებს, რომ კატალონიელებთან შეთანხმებას მალე მიაღწევენ. ჟულისთან დაკავშირებით, "სიტის" ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდა. ფრანგ გარემარბს თანამშრომლობა "რომამაც" შეთავაზა, თუმცა ამ ეტაპზე "ბარსელონის" შეფები იტალიელების მიერ შეთავაზებულ თანხაზე ორი მილიონი ევროთი მეტს ითხოვენ. ძნელი მისახვედრი არ არის, ესა თუ ის ფეხბურთელი იმ გუნდს დარჩება, რომელიც ყველაზე მეტ ფულს გადაიხდის.

## რეალი დე ლა პენიას არ დაკავშირებია

ესპანურ პრესაში გაჩნდა ჭორი იმის შესახებ, რომ **ივან დე ლა პენია** მადრიდის "რეალში" აპირებს გადასვლას. თუმცა, "ესპანიოლის" პრეზიდენტი **დანიელ სანჩეს ლიბრე** ჟურნალისტებს შეხვდა და ეს ცნობა უარყო.

*"ასეთი ჭორის კომენტირებას აზრი არ აქვს, ვინაიდან მადრიდელთა მხრიდან არანაირი წინადადება არ მივიღია. ამ ინფორმაციას პრესაში გავეცანი, მაგრამ არ მჯერა, რომ მასში სიმართლის რაიმე ნატამალი არსებობს. დარწმუნებული ვარ, რომ დე ლა პენია ჩვენს გუნდში ითამაშებს. რადგან მან "ესპანიოლთან" კონტრაქტი გააგრძელა, ე. ი. ჩვენთან თამაში უნდა"*, - ამბობს პრეზიდენტი.

## სმიტი მანჩესტერშია

როგორც ჩანს, ალან **სმიტი** ამ სეზონსაც "მანჩესტერ იუნაიტედში" გაატარებს. ცნობილია, რომ ცოტა ხნით ადრე, სმიტის გუნდიდან სავარაუდო წასვლის შესახებ, ინგლისურ პრესაში ძალიან ბევრი იწერებოდა.

ახლა ირკვევა, რომ "ლიდსის" ყოფილი ფორვარდი "მანჩესტერთან" ერთად აზიურ ტურნეში მიემგზავრება.

*"კლუბის ყველა ფეხბურთელი მწყობრშია და სრული შემადგენლობით მივემგზავრებით აზიაში. იქ ვნახავთ, როგორ შეეწყობიან გუნდს ახალწვეულები"*, - აცხადებს ინგლისის ჩემპიონის ცენტრალური მცველი **რიო ფერდინანდი**.

## ლივერპული ჰაინცეში ყველაზე მეტს გადაიხდის

გუშინ, **გაბრიელ ჰაინცეს** შესახებ ვწერდით, რომ არგენტინელ ფეხბურთელს გარემოს გამოცვლა და "მანჩესტერ იუნაიტედის" დატოვება სურს. ჰაინცე ყველაზე მეტად "ლივერპულში" გადასვლით არის დაინტერესებული.

არგენტინელისთვის ბრძოლაში თავად მერსისაიდული კლუბიც აქტიურად ჩაება და მზად არის მასში "რეალზე" მეტი თანხა გადაიხადოს.

*"ჩვენ სხვა კლუბებზე მეტს შევთავაზებთ "მანჩესტერს" და დაინახავთ, რომ ჰაინცე "ლივერპულში" გააგრძელებს კარიერას"*, - მოჰყავს ჟურნალ People-ს "ლივერპულის" ერთ-ერთი წარმომადგენელის სიტყვები.

## მორატი დუბლს უმიზნებს

იტალიური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში, მილანის "ინტერის" პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმ** მომავალ სეზონში კლუბის ამოცანებზე ისაუბრა.

*"მომავალი წლის მთავარი ამოცანა, ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. დიდი ხანია ვერ ვახერხებთ ჩემპიონთა თასის მოპოვებას, მაგრამ ამ სეზონში ჩვენ შეგვიძლია ამ მიზნის მიღწევა. გარდა ამისა, "ინტერისთვის" აუცილებელია იტალიის ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება"*, - ასეთ ამბიციურ განცხადებას აკეთებს მორატი.

## კორადიმ ლაციოში დაბრუნება ისურვა

მიუხედავად იმისა, რომ **ბერნარდო კორადიმ** "მანჩესტერ სიტის" ახალ მწვრთნელზე, **სვენ გორან ერიქსონზე** კარგი შთაბეჭდილება დატოვა, იტალიელ ფეხბურთელს სამშობლოში დაბრუნება აქვს გადაწყვეტილი.

*"ჩემი მიზანი, იტალიაში დაბრუნებაა. ჩემით დაინტერესებულ კლუბებს შორის, პირველ ადგილზე რომის "ლაციო" დგას. ვიცი, რომ რომაელები ფორვარდს ეძებენ"*, - განაცხადა კორადიმ, რომელიც მზად არის, "ლაციოში" გადასვლის სანაცვლოდ, ხელფასიც კი მოიკლოს.

*"სურვილის შემთხვევაში, ჭკვიანი ადამიანები იოლად იპოვნიან კომპრომისს. ვიცი, რომ ბევრ ფეხბურთელს არ უყვარს, როცა ყოფილ კლუბში ბრუნდება, მაგრამ რომი შესანიშნავი ქალაქია, ხოლო "ლაციო" ყოველთვის რჩებოდა ჩემს გულში"*, - ამბობს კორადი.

## კინი პრემიერლიგის დაპყრობას აპირებს

პრემიერლიგაში აღზევებული "სანდერლენდის" მთავარ მწვრთნელს, **როი კინს** ახალ სეზონში დიდი გეგმები აქვს. ირლანდიელი გუნდთან ერთად პრემიერლიგის მწვერვალების დაპყრობას აპირებს.

*"დღეს მე "სანდერლენდის" მთავარი მწვრთნელი ვარ. ჩემს გუნდს შეუძლია ამ სეზონში უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა. ვერანაირ ზეწოლას ვერ ვგრძნობ. ოდნავი მღელვარება არსებობს, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენ ბევრის მიღწევა შეგვიძლია"*, - მოჰყავს კინის სიტყვები "სქაი სპორტს".

## ბოჟინოვი ვუჩინიჩის სანაცვლოდ?

გუშინ ვწერდით იმის შესახებ, რომ "ფიორენტინამ" ტრანსფერზე დააყენა ბულგარელი ფორვარდი **ვალერი ბოჟინოვი**. გუშინვე გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბოჟინოვი შესაძლოა რომაელ **მირკო ვუჩინიჩზე** გაიცვალოს.

*"დღეს გუნდში ორი ახალგაზრდა ფორვარდია - პაცინი და ბოჟინოვი. იტალიელმა ჩვენთან დარჩენის სურვილი გამოთქვა, ბოჟინოვმა კი, სამწუხაროდ, წასვლა არჩია. არადა, ჩვენ ბევრი ვეცადეთ მისი შენარჩუნება. დღეისთვის, "ფიორენტინას" ხელმძღვანელობა "რომასთან" ბოჟინოვის მირკო ვუჩინიჩზე გაცვლის ვარიანტს განიხილავს"*, - აცხადებს "ფიორენტინას" სპორტული დირექტორი **პანტალეო კორვინო**.

## მანსინი ხელფასის გაზრდას ითხოვს

"ლივერპული" "რომას" ნახევარმცველის, **მანსინის** გადაბირებას ცდილობს. თავის მხრივ კი, ბრაზილიელი ფეხბურთელის აგენტი ინგლისური კლუბის დაინტერესებას იყენებს იმისთვის, რომ რომაულ გუნდს მანსინისთვის უფრო მაღალი ხელფასი დასტყუოს.

ბრაზილიელის მოქმედი კონტრაქტი 2009 წლის 30 ივნისს იწურება და თავად ფეხბურთელს მისი გახანგრძლივება სურს, მაგრამ უფრო უკეთესი ფინანსური პირობებით. მანსინი ცდილობს, "რომასგან" სეზონში 3 მილიონი ევრო მიიღოს, იმ დროს, როცა "ჯალოროსი" 1.7 მილიონზე მეტის გადახდას არ აპირებს.

## პინოლამ მუხლის ოპერაცია გაიკეთა

სავარაუდოდ, ახალი სეზონის სტარტს გამოტოვებს "ნიურნბერგის" არგენტინელი მცველი **ხავიერ პინოლა**. ამ ფეხბურთელმა მუხლის ოპერაცია გაიკეთა, რადგან გასულ სეზონში ქრონიკული ტკივილები აწუხებდა.

"ნიურნბერგი" პირველ ოფიციალურ მატჩს 5 აგვისტოს ჩაატარებს, როცა გერმანიის თასზე ჰამბურგის" ვიქტორიას" შეხვდება. თუ ექიმებს დავუჯერებთ, იმ მატჩში პინოლა მინდორზე გასვლას ვერ შეძლებს.

## დეპორტივო დუშერის შემცვლელს ეძებს

"დეპორტივო" მადრიდის "რეალის" ახალგაზრდა ნახევარმცველის **ხავი გარსიას** შეძენას აპირებს. ცოტა ხნის წინათ, ლაკორუნიული კლუბი **ალდო დუშერს** დაემშვიდობა და მის სრულფასოვან შემცვლელს ეძებს. კლუბის დირექტორატის აზრით, არგენტინელის იდეალურ შემცვლელად სწორედ ხავი გარსია მოიაზრება.



ალექსანდრე კოტორაშვილი ფოტო

პრესკონფერენცია

# დავით ლანჩავას საპრეზიდენტო განაცხადი

## რითი უპასუხებს ლეილა მესხი? მოიწვევენ თუ არა რიგგარეშე ყრილობას?

პირველი გვერდიდან

მთავარი პრობლემა ქართულ ჩოგბურთში მომავალი თაობის ჩოგბურთელთა თითქმის არარსებობაა. ახლახან დავასრულეთ "ბაბოლატის" თასის გათამაშება ახალგაზრდებში და საჩოგბურთო ბადე - 32 წევრიანი, ვერც ჭაბუკებში და ვერც გოგონებში ვერ შევავსეთ, ანუ 32 ჩოგბურთელი არ შეგროვდა. მსგავსი სიტუაციებია დაბალ ასაკობრივ ტურნირებში. ეს კი კატასტროფის წინაშე ყოფნას ნიშნავს.

ამ პრობლემას ჩოგბურთის ფედერაციაში მრავალი ხედავს, ამიტომაც მოაწერა ხელი განცხადებას 28 კაცმა. წესდების თანხამად, კრების მოწვევისთვის საკმარისია ფედერაციის წესდებით 9 წევრის სურვილი. სულ საარჩევნო ხმა 83 კაცს აქვს. რახან 28 კაცია შეშფოთებული, ესე იგი რაღაც მართლა არ არის რიგზე. ამიტომ, ჩვენ, როგორც ფედერაციის წევრებს, უფლება გვაქვს, რომ ხმა ავიმაღლოთ და კრებაც (ყრილობა. ზ.შ.) მოვიწვიოთ. კრება ოთხ წელიწადში ერთხელ კი არა, ყოველწლიურად უნდა შედგეს. - ამას გვავალებს კიდეც წესდება.

ფედერაციის დღევანდელი ხელმძღვანელობა არაფერს აკეთებს ჩოგბურთის პოპულარიზაციისთვის - მასობრიობა, ბაზების მშენებლობა ნულის ტოლია. ერთადერთი რაც მართლა კეთდება და ამას ვაღიარებთ, ათი წლის განმავლობაში საერთაშორისო ტურნირების ჩატარების პრაქტიკაა. თუმცა ამის იქით თუ ვერ ვითარდები, მაშინ დაფიქრებაა საჭირო და სხვაგვარი შემართება.

უცნაურია, მაგრამ ფედერაციას არა აქვს გაზეთი, ჟურნალი და საიტიც კი, რაც თანამედროვე ფედერაციისთვის აუცილებელია. არ არსებობს საჩოგბურთო ინფრასტრუქტურა რეგიონებში, - სადაც იყო, გაპარტახდა და აღდგენაზე არავინ ფიქრობს. ფედერაციის ხელმძღვანელობა ფინანსურადაც ვერ არის ძლიერი და იქამდეც კი მივიდნენ, რომ ევროპის ჩემპიონატზე მეორეადგილოსნებს ვერ უშვებენ. არადა, ბავშვებს ოფიციალურად ეკუთვნით იქ გამგზავრება.

აქვე მინდა გამოვეხმაურო განცხადებას, რომელიც ჩემი მისამართით გაკეთდა გაზეთ "ლელოში" (*ფედერაციის პრეზიდენტმა ლეილა მესხმა ლანჩავას დილეტანტი უწოდა. ზ.შ.*) მე მართლაც დილეტანტი ვარ ჩოგბურთში, მაგრამ ჩემ უკან არის პროფესიონალთა გუნდი, რომლებიც ნამდვილად ვერ ჩაითვლებიან დილეტანტებად. თუმც კი ვიტყვი, რომ დილეტანტი არ ვარ მართვაში, ბავშვებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობაში და საქმის წარმართვაში. - ამ მხრივ წარმატებული მოღვაწეობის ოცწლიანი გამოცდილება მიმაგრებს ზურგს; არ განვიცდი ნოვაციების ნაკლებობას და კარგი საქმეებიც მიკეთებია... ყველას აქვს თავისი აზრის გამოთქმის უფლება, თუმც წაგიკითხავთ გვარებს, რომლებიც ჩემს პოზიციაზე არიან და თავადაც დარწმუნდებით, რომ საქმე ბევრად სერიოზულადაა, ვიდრე მავანს შეიძლება ეგონოს. გარდა ფედერაციის 83 წევრისა, გამგეობაში 17 წევრია; აქედან 11 ჩვენ გვიჭერს მხარს. ანუ დიდი უმრავლესობა ჩვენს მხარესაა. უნდა მოგახსენოთ, რომ ვითარების შეცვლა სურს ელერდაშვილების ცნობილ გვარს, რომლებსაც ქართულ ჩოგბურთში ბევრი რამ გაუკეთებიათ; ასევე მეტრეველების მთელი ოჯახი გვიჭერს მხარს, - ბატონი ალექსანდრე დღეს დილიდან აქ იყო და ყოველმხრივი დახმარება აღგვითქვა.

ერთი სიტყვით, გვაქვს უფლება კრება მოვიწვიოთ. მთავარი მიზანი, ვიმეორებ, ქართული ჩოგბურთის აღორძინება და განვითრებაა. მეამაყება, რომ საფუძველი ჩავუყარეთ ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთა ფედერაციას; რომ შევქმენით წვრთნის გაუმჯობესებული პირობები; გამოვეცით საჩოგბურთო ჟურნალი და ჩავატარეთ ტურნირები. მთავარი მონაპოვარი კი ის არის, რომ ჩვენთან ნიჭიერებს ეძლევა გასაქანი - ავკრძალეთ დამატებითი ვარჯიშები, როცა შეძლებული ოჯახის უფროსს შეეძლო მისი შვილისთვის ფული დაეხარჯა და ცალკე ევარჯიშა, ამ დროს კი უქონელს, მაგრამ ნიჭიერს ამის საშუალება არ ჰქონდა. ახლა ყველა თანაბარია და მინიმუმამდე დავიყვანეთ ვარჯიშის საფასური - ერთი საათი 2 დოლარი; ამაში შედის ბურთების ხარჯიც. დამერწმუნეთ, არსად ასეთი იაფი ვარჯიში არ ღირს.

მომავალ თაობას კიდევ მრავალმხრივ დავეხმარებით. მთავარია, ბავშვები მოვიზიდოთ. ამ მიზნით განათლების სამინისტროსთან და მუნიციპალიტეტთან ერთად გვსურს სკოლებში შევიდეთ და ბავშვები მოვიზიდოთ; დაფინანსება გავზარდოთ, რათა მათ შეეძლოთ ვარჯიში.

ვლადიმერ გოგლიძე: - საქართველოში ჩოგბურთი ყოველთვის ინტენსიურად ვითარდებოდა, თაობათა შორის წყვეტა არ ყოფილა. ჩოგბურთში 56 წელიწადია ვმოღვაწეობ და ვითვლები ქართული ჩოგბურთის მესამე თაობის ჩოგბურთელად. ჩემი მეგობარი არჩილ კეკელია - მეოთხესი, და ეს თაობა ფაქტობორივად, ბოლოა ამ გზაზე. ამის შემდეგ ჩვენში განვითარება აღარ არის. ირაკლი ლაბაძის იმედზე ვართ წლებია და ისიც უკვე ურეიტინგო გახდა, ლადო ჩიხლაძე კი ხუთასეულში შედის მხოლოდ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს დევისის თასზე პირველ ქვეჯგუფში თუკი ვართ, ხვალ მესამეც სანატრებელი გაგვიხდება. უფსკრულის წინაშე ვდგავართ და ახლავე სჭირდება საქმეს შველა. წარმოგიდგენიათ, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში 13-14 წლის ბავშვები თამაშობენ, 18 წლამდე თითქმის არავინ გვყავს, აღარას ვამბობთ 20 წელზე უფროს ჩოგბურთელებზე.

თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს **არჩილ კეკელიამ, ირინე მალაციძემ** და **ირაკლი უშანგიშვილმაც**, მათი პოზიციაც იდენტური იყო. ბოლოს დავით ლანჩავამ რამდენიმე კითხვას გასცა პასუხი.

**- ბატონო დავით, ახალი გუნდის ლიდერი თქვენ ხართ და პრეზიდენტობის კანდიდატიც თქვენ იქნებით?**

- ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია და ოფიციალურად არ ვაცხადებ, თუმცა იმის პრეტენზია კი მაქვს, რომ ქართულ ჩოგბურთს გავუძღვე.

**- რაღას უცდით, ბარემ წამოაყენეთ თქვენი კანდიდატურა და პროგრამაც წარმოადგინეთ.**

- ვიდრე ძველი პრეზიდენტი თანამდებობაზეა, არ მაქვს უფლება კანდიდატის წარმოდგენისა. მთავარია, კრება მოვიწვიოთ და თუ საჩოგბურთო სამყარო გადაირჩევს ძველ პრეზიდენტს, მხოლოდ ამის შემდეგ შემეძლება საკუთარი კანდიდატურის წარდგენა.

**შეგახსენებთ, რომ ფედერაციის პრეზიდენტი ლეილა მესხი იმყოფება ერევანში, სადაც საერთაშორისო ტურნირის დირექტორია. ის თბილისში დაბრუნების შემდეგ მოაწყობს პრესკონფერენციას. დავით ლანჩავა და მისი თანამოაზრეები რიგგარეშე ყრილობის გამართვას 31 ივლისს ითხოვენ.**

**ზვიად შათირიშვილი**

## დევიძემ წინ წაიწია



ანა ტატიშვილი

გუშინ განახლდა WTA-ის და ATP-ის რეიტინგ-ლისტები, გაგაცნობთ ქართველ ჩოგბურთელთა დღევანდელ მდგომარეობას: საქართველოს პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშვილმა** ერთი საფეხურით უკან დაიხია, მაკა მსოფლიოს 146-ე ჩოგანია 227 ქულით. წლის რბოლაში ჩახნაშვილი 175-ე ადგილზეა, წყვილთა რეიტინგში კი 160-ე.

**ჩახნაშვილი** ამ კვირაში არჩევანის წინაშე იყო, მას შეეძლო WTA-ის ტურნირში ეთამაშა პალერმოში (145 ათასი დოლარი), ოღონდ ბრძოლაში საკვალიფიკაციო ეტაპიდან უნდა ჩაბმულიყო, ან საფრანგეთში კონტრექსვილში 50-ათასიან ტურნირის ძირითად ბადეში ჩართულიყო. მაკამ მეორე ვარიანტი არჩია, ფრანგულ კუროტზე ის მე-7 ნომრად განთესეს. პირველ წრეში ჩახნაშვილის მეტოქე ფრანგი **ორელი ვედია** (412). წყვილთა თანრიგში მაკა ჩახნაშვილი ესტონელ **მარეტ ანის** (157) შეუწყვილდა, ისინი მე-3 ნომრად განთესეს და პირველ წრეში დაასვენეს.

საქართველოს მეორე ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** 17 საფეხურით წაიწია წინ, ანა მსოფლიოს 368-ე ჩოგანია 57 ქულით. წლის რბოლაში ანა ტატიშვილი 219-ე ადგილზეა, წყვილთა თანრიგში კი - 594-ე. ერთ კვირაში 94 ადგილით წაიწია წინ 21 წლის **სალომე დევიძემ**, სალომეს 26 ქულა აქვს, ის მსოფლიო კლასიფიკაციაში 551-ეა. წყვილებში დევიძე 558-ე ჩოგანია. სალომეს წინსვლის მიზეზი საკვალიფიკაციო ბადიდან ბოსტონის ტურნირის (50 ათასი დოლარი) მერვედფინალში გასვლაა.

სხვები: 620 (-5) **სოფიო შაფათავა** - 21 ქ, 647 (+20) **სოფიო მელიქიშვილი** - 19, 736 (+4) **მანანა შაფაქიძე** - 14, 773 (-) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 12,5, 783 (-) **ეკა გორგოძე** - 12, 963 (-9) **სოფიო ქვაცაბაია** - 7. ათასეულს მიღმა არიან: 1059 (+4) **თინათინ ყავლაშვილი**, 1085 (+1) **სალომე ჩაჩხუნაშვილი**, 1259 (+7) **მარიამ ქურდაძე** და 1281 (+10) **თეონა ცერცვაძე**.

ვაჟთა შორის კატასტროფული მდგომარეობა გვაქვს, მსოფლიოს საუკეთესო ხუთასეულში ერთი ქართველიც არაა. საუკეთესო პოზიცია **ლადო ჩიხლაძეს** აქვს, რომელიც 42 ქულით 543-ეა (+4). **ირაკლი ლაბაძეს** 15 ქულაღა დარჩა, ელიტის ყოფილი წევრი ახლა მსოფლიოს 823-ე ჩოგანია. 1332-ე პოზიციაზეა **ნოდარ ითონიშვილი** (2 ქულა).

## ნაბიჯი ცინცინატის ბადემდე

17 წლის **ანა ტატიშვილი** WTA-ის ტურის ტურნირის ძირითად ბადეში მოხვედრას ცდილობს. ტურნირი ცინცინატიში იმართება და მისი საპრიზო ფონდი 175 ათასი დოლარია. ანა ტატიშვილი და **სალომე დევიძე** ასპარეზობაში საკვალიფიკაციო ბადიდან ჩაებნენ. სალომე დევიძე პირველ წრეში მექსიკელ **მელისია ტორესს** (262) ებრძოლა, თუმცა სამ სეტში დამარცხდა - 7:6, 3:6, 2:6. ანა ტატიშვილმა პირველ წრეში ამერიკელ **ნეა უბეროის** (248) მოუგო - 6:1, 6:3. მეორე წრეში ანა მსოფლიოს საუკეთესო ოცეულის ყოფილ წევს **ალექსანდრა სტივენსონს** (აშშ) დაუპირისპირდა. პირველი სეტი ძალზე დაძაბული გამოდგა, ანამ ტაი-ბრეიკში ორჯერ დაკარგა სეტ-პოინტი, შემდეგ კი 8:10 დამარცხდა. მეორე სეტი ქართველმა რიხით დაიწყო 4:0 დაწინაურდა და სეტის ბოლომდე მხოლოდ ორი გეიმი დათმო. მესამე სეტში ანა 3:1-ს იგებდა და საკუთარ მოწოდებაზე 40:15 იყო, სტივენსონს მატჩის გადარჩენის შანსი თითქმის აღარ ჰქონდა, ამერიკელმაც ფეხის ტრავმა მოიმიზეზა და ბრძოლას შეეშვა - 6:7, 6:2, 3:1. ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში ანა ტატიშვილის მეტოქე ამერიკელი **კეტი რაკერტია** (515). წესით, ანა მატჩის ფავორიტია, ეს შეხვედრა გვიან ღამით გაიმართებოდა.

## გერმანიასა და უკრაინაში

16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** უიმბლდონის ახალგაზრდული ტურნირის შემდეგ არსად გამოსულა, ის თბილისში ვარჯიშობდა. თუმცა ოქსანა უკვე გერმანიაშია, სადაც დიდების ტურნირში ცდის ბედს. ქალაქ გარხინგში 10-ათასიანი ტურნირი იმართება, რომლის საკვალიფიკაციო ბადეში ოქსანა პირველ ნომრად განთესეს. ბავარიული ქალაქის თიხნარზე პირველ საკვალიფიკაციო წრეში ოქსანა ორგანიზატორებმა დაასვენეს, მეორეში მან სლოვაკ **პატრისია ვერესოვას** მოუგო - 6:2, 6:2. ფინალურ წრეში ოქსანას ჩეხი **ჰანა ბირნეროვა** დაუპირისპირდება.

უკრაინის ქალაქ დნეპროპეტროვსკის ტურნირში (50 ათასი დოლარი) წარუმატებლად ცდილობდა ძირითად ბადეში გაღწევას **სოფიო შაფათავა**. 19 წლის ქართველმა პირველი საკვალიფიკაციო წინაღობა გადალახა, მან რუსი **იულია სოლონიცკაია** დაამარცხა - 6:4, 3:6, 6:2. თუმცა მეორე წრეში სოფიო მე-5 ნომრად განთესილ ლატვიელ **ირინა კუზმინასთან** (433) დამარცხდა - 6:4, 4:6, 3:6. შაფათავა უკრაინულ ტურნირს დაემშვიდობა.

## ჩიხლაძე და ხრიკაძე სომხეთში

ვაჟჩოგბურთელთა საერთაშორისო კალენდარში სომხური ტურნირი ახალი ხილია. ერევანში ჰარდის საფარის კორტებზე ITF-ის ეგიდით 10-ათასიანი ტურნირი იწყება, ძირითად ბადეში კი ორი ჩვენებური ითამაშებს. **ლადო ჩიხლაძემ** ტრავმის გამო ბოლო ორთვენახევრის განმავლობაში მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა და ისიც ვერ დაასრულა. თუკი ლადო საბოლოოდ გამოჯანმრთელდა მისთვის "უაილდ ქარდით" მიწვეული ურეიტინგო **გევორქ კირაკოსიანის** დამარცხება პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. ლადო ტურნირზე მეორე ნომრად არის განთესილი. ძირითადი ბადის მეორე ქართველი **გიორგი ხრიკაძე** იქ საკვალიფიკაციო ბრძოლებიდან მოხვდა. საკვალიფიკაციო ბადეში სამი ქართველი ჩაება: ხრიკაძე, **გიორგი ჭანტურია** და **დემეტრე თაქთაქიშვილი**. პირველ წრეში ხრიკაძემ სლოვაკი **ანდრეი კურტისი** დაამარცხა - 6:1, 6:4. მოიგო დემეტრე თაქთაქიშვილმაც, რომელმაც უკრაინელ **კირილო ბაისაკს** აჯობა - 7:6, 6:0. საქართველოს ჩემპიონმა გიორგი ჭანტურიამ რუსი **ლევან ფეროიანი** დაამარცხა 6:2, 6:1. ფინალურ წრეში ჭანტურია მოულოდნელად დამარცხდა სლოვაკ **მიხალ პაჟიცკისთან** - 0:6, 2:6. ხრიკაძემ ორ სეტში მოუგო თანამემამულე თაქთაქიშვილს - 6:3, 6:4. ძირითად ბადეში გიორგი ხრიკაძის მეტოქე ირლანდიელი **ჯეიმს კლუსკია**. წყვილთა თანრიგში მხოლოდ ერთი ქართველია, ჩიხლაძე რუს **ელგინთან** ერთად პირველ ნომრად არის განთესილი. ერევნის ტურნირის დასრულების შემდეგ ანალოგიური შეჯიბრება იან ჰომერის კორტებზე დაიწყება.

იტალიის ქალაქ პალაცოლოში 10-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში 19 წლის **ნოდარ ითონიშვილი** თამაშობდა, ის მე-5 ნომრად იყო განთესილი. ითონიშვილი "უაილდ ქარდით" მიწვეულ იტალიელ **ნიკოლა რემედისთან** დამარცხდა - 5:7, 2:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მძლეოსნობა**

# 26-წლიანი რეკორდი დაემხო

ქუთაისში დასრულდა საქართველოს მოსწავლე მძლეოსანთა ჩემპიონატი. შეჯიბრება ჩატარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მძლეოსნობის სპორტსკოლის დაფინანსებით. ტურნირის ორგანიზებაში, განათლების სამინისტროსა და საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციას, დახმარება გაუწია ქუთაისის სპორტის სამსახურმა და ადგილობრივმა მძლეოსნობის სპორტსკოლამაც, რომლის დირექტორი **ლომერ ახვლედიანიც** ჩემპიონატის მთავარი მსაჯი იყო. ქუთაისელები დიდად ემადლიერებიან განათლების სამინისტროს, რომელიც ერთბაშად თერთმეტ იქაურ სპორტსკოლას უდგას მხარში და მათ თვითდაფინანსების პრობლემა არ აწუხებთ...

საქართველოს მოსწავლეთა პირველობაზე, თავი მოიყარა ჩვენი ქვეყნის ოცი ქალაქისა და რაიონის სამასამდე მძლეოსანმა. ყველაზე საინტერესო, რაც შეჯიბრებაზე მოხდა, იყო **ენდრიკ ზილბერშტეინის** მიერ 400 მეტრზე რბენაში დამყარებული საქართველოს ახალი რეკორდი (48,6 წამი). ამ ასაკში, აქამდე, რეკორდი ეკუთვნოდა **ილია ვაშალომიძეს,** რომელმაც 26 წლის წინათ, 1971 წელს, მოსკოვში გამართულ შეჯიბრებაზე, ანალოგიური დისტანცია დაფარა 49,1 წამში.

აღსანიშნავია, რომ ახლახან, ზილბერშტეინმა, შავი ზღვის ქვეყნების ახალგაზრდულ თამაშებზე, მესამე ადგილი დაიკავა. როგორც ცნობილმა სპეციალისტმა **ყარამან საბანაშვილმა** გვითხრა, ზილბერშტეინს ეს დისტანცია თურქეთშიც 48,6 წამში რომ გაერბინა, ჩემპიონობაც შეეძლო...

**კობა ხატისაშვილი**

**გოგონები. 100 მ**
1. სალომე აბშილავა (ზუგდიდი) 12,8
2. სოფო გაფრინდაშვილი (თბილისი) 13,0
3. სოფო მაჭავარიანი (თბილისი) 13,0

**200 მ**
1. ანა კაშია (ქუთაისი) 27,0
2. სოფო გაფრინდაშვილი (თბილისი) 27,0
3. სალომე აბშილავა (ზუგდიდი) 27,1

**400 მ**
1. ირინა ლოზოვაია (თბილისი) 59,3
2. გაიანე უსტიანი (ახალციხე) 59,9
3. ეკა ბუდანოვა (აჭარა) 1,02,0

**800 მ**
1. გაიანე უსტიანი (ახალციხე) 2,17,7
2. ირინა ლოზოვაია (თბილისი) 2,25,8
3. ნინო გველესიანი (ჭიათურა) 2,28,9

**1500 მ**
1. ნინო გველესიანი (ჭიათურა) 5,17,1
2. ლია ცალქალამანიძე (ახალციხე) 5,22,1
3. სოფო ჩოჩნიძე (ბორჯომი) 5,26,7

**3000 მ**
1. სოფო ჩოჩნიძე (ბორჯომი) 11,26,9
2. მაკა შარაშენიძე (ვანი) 12,05,3
3. თეონა ხაჩიძე (ახალციხე) 12,08,6

**თარჯრბენი (100 მ)**
1. მაია გოგოლაძე (თბილისი) 16,1
2. რიტა ფუთურიძე (ქუთაისი) 17,6

**თარჯრბენი (400 მ)**
1. რიტა ფუთურიძე (ქუთაისი) 1,22,2

**სიგრძეზე ხტომა**
1. მაია გოგოლაძე (თბილისი) 5,27
2. ლიკა დვალიშვილი (თბილისი) 5,26
3. სოფო მაჭავარიანი (თბილისი) 5,03

**სამხტომი**
1. ქრისტინა შალამბერიძე (ქუთაისი) 11,20

**ბირთვი**
1. სალომე რიგიშვილი (თიანეთი) 11,70
2. ანა კაშია (ქუთაისი) 8,95
3. თეონა ბექურაიძე (ახმეტა) 8,83

**ბადრო**
1. სალომე რიგიშვილი (თიანეთი) 43,18
2. თეონა ბექურაიძე (ახმეტა) 24,02
3. ნინო ბრეგვაძე (ვანი) 23,80

**შუბი**
1. ანა კაშია (ქუთაისი) 24,02
2. თეონა ბექურაიძე (ახმეტა) 21,65
3. ელისო ანთაძე (ახმეტა) 18,60

**ამანათრბენი (4X100)**
1. ქუთაისი 53,4
2. ზუგდიდი 54,5
3. ბორჯომი 56,3

**ვაჟები. 100 მ**
1. ირაკლი ლღონტი (თბილისი) 11,5
2. ბექა ჯიშკარიანი (ქუთაისი) 11,6
3. გიორგი დადუნაშვილი (თბილისი) 11,6

**200 მ**
1. ტარიელ ქვანია (ზუგდიდი) 23,1
2. ბექა ჯიშკარიანი (ქუთაისი) 23,6
3. გიორგი ზილბერშტეინი (ახალციხე) 53,7

**400 მ**
1. ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე) 48,6
2. ტარიელ ქვანია (ზუგდიდი) 51,6
3. გიორგი ზილბერშტეინი (ახალციხე) 53,7

**800 მ**
1. ლუდ. ზილბერშტეინი (ახალციხე) 1,58,1
2. ენდრ. ზილბერშტეინი (ახალციხე) 1,58,3
3. თორნიკე კაპანაძე (ქუთაისი) 2,06,4

**1500 მ**
1. ლუდ. ზილბერშტეინი (ახალციხე) 4,10,5
2. ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე) 4,19,7
3. ნიკა იოსელიანი (აჭარა) 4,41,5

**3000 მ**
1. ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე) 9,31,4
2. გიორგი გოჩილაიძე (ახმეტა) 10, 08,2
3. მამუკა ქავთარაძე (ვანი) 10,18,5



ენდრიკ ზილბერშტეინი

**5000 მ**
1. გიორგი გოჩილაიძე (ახმეტა) 17,50
2. კობა ქარდლიძე (ახმეტა) 17,59
3. დავით ხარაზიშვილი (თბილისი) 18,08,0

**თარჯრბენი (110 მ)**
1. ბექა ჯიშკარიანი (ქუთაისი) 15,9
2. ბესიკ ხუსკივაძე (თბილისი) 16,2
3. დავით მორჩიაშვილი (ქუთაისი) 16,9

**თარჯრბენი (400 მ)**
1. დავით მორჩიაშვილი (ქუთაისი) 59,6
2. ბექა ჯოგავა (ქუთაისი) 1,00,9
3. ნიკა იოსელიანი (აჭარა) 1,01,4

**სიგრძეზე ხტომა**
1. ვასილ ელანიძე (ახმეტა) 6,21
2. დავით ასათიანი (ქუთაისი) 6,08
3. ლაშა ლულელაური (ახმეტა) 5,94

**სამხტომი**
1. ვახტანგ ჯინჭველაშვილი (ქუთ) 13,50
2. ვასილ ელანიძე (ახმეტა) 13,32
3. გოჩა დინგაშვილი (ქუთაისი) 13,17

**ბირთვი**
1. გოგა ჭიხვარია (ჩოხატაური) 12,85
2. გიორგი ქავჟიშვილი (გარდაბანი) 12,22
3. უჩა ალუაშვილი (თიანეთი) 11,98

**ბადრო**
1. აკაკი სვანიძე (ოზურგეთი) 26,00
2. გიორგი ლულელაური (ახმეტა) 25,16

**შუბი**
1. უჩა ალუაშვილი (თიანეთი) 38,43
2. გიორგი ლულელაური (ახმეტა) 37,0
3. ლაშა აბულაძე (ხონი) 32,12

**ამანათრბენი (4-100)**
1. ახალციხე (46,8)
2. ქუთაისი (47,0)
3. ზუგდიდი (49,3)

**საერთო ჩათვლა**

**I ჯგუფი**
1. თბილისი (346 ქულა)
2. ქუთაისი (337)
3. ახალციხე (289)

**II ჯგუფი**
1. მარტვილი (78,5)
2. თიანეთი (62)
3. გარდაბანი (58)

**სუმო**

# მეხუთე გამარჯვება

ნაგოიას ბაშოს მეცხრე დღეს დასავლეთის მეცხრე მაეგაშირა **კოკაიმ** მეხუთე გამარჯვება იზეიმა, ქართველმა ფალავანმა მე-16 მაეგაშირა **კაკიძოე** წააქცია ოშიტაოშის ილეთით. კოკაის 5-4-თან ბალანსი აქვს და ბაშოს დადებითი ბალანსით დასასრულებლად კიდევ სამი მოგება სჭირდება დარჩენილ ექვს ორთაბრძოლაში. დღეს კოკაის უკვე სერიოზული მეტოქე ჰყავს, მეხუთე მაეგაშირა **მიაბიამა,** ყველაზე მძიმეწონოსანი სუმოისტი. კოკაი მიაბიამას 11-ჯერ შეხვედრია აქამდე და მხოლოდ ოთხჯერ მოუგია.

დღეიდან ბაშოს ერთპიროვნული ლიდერი ეყოლება, რადგან დაუმარცხებელი იოკოძუნა **ჰაკუჰო** ასევე წაუგებელ სეკივაკე **კოტომიცუკის** ხვდება. მთელი დარბაზი ნაგოიას პრეფექტურის მკვიდრის მხარეს იქნება. ლიდერებს კვალში თითოთ წაგებით დიდი ჩემპიონი **ასაშორიუ** და **ჰომაშო** უდგანან, ორი მარცხი განიცადა ვეტერანმა ოძეკი **კაიომ.**

**ლევან გორგაძემ** (ტოჩინოშინი) მესამე დივიზიონ მაკუშიტაში ბაშოზე პირველი მარცხი განიცადა, მან **ასაჰიმარუსთან** წააგო. ტოჩინოშინს 4-1 ბალანსი აქვს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ნაგოიას ბაშო**

ივლისის სუპერტურნირი
8-22 ივლისი, ნაგოია (იაპონია)

IX დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-კაკიძოე 1:0 (ოშიტაოში), ასაშორიუ-მიაბიამა 1:0, ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ 1:0, კაიო-კოტოოშუ 1:0, ჩიოტაიკაი-ამა 1:0, კოტომიცუკი-ტოიონოშიმა 1:0, ტოკიტენკუ-დეჯიმა 1:0, ამინიშიკი-ტაკეკაძე 1:0, ასასეკირიუ-ტაკამისაკარი 1:0, ჰომაშო-ვაკანოსატო 1:0, რიუო-ტამანოშიმა 1:0, კასუგაო-კისენოსატო 1:0, კაკურიუ-ტოჩიოძანი 1:0, ტოჩინონადა-ფუტენო 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 9-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტომიცუკი (სეკივაკე); 8-1: ასაშორიუ (იოკოძუნა), ჰომაშო (მაეგაშირა 6); 7-2: კაიო (ოძეკი); .. 5-4: კოკაი (მ 9).

X დღე: კოკაი-მიაბიამა, ჰაკუჰო-კოტომიცუკი, ასაშორიუ-ამა, კაიო-ტაკამისაკარი, ჩიოტაიკაი-კოტოშოგიკუ, კოტოოშუ-ტამანოშიმა, ამინიშიკი-ასასეკირიუ, ტოკიტენკუ-ვაკანოსატო, დეჯიმა-ტაკეკაძე, ტოიონოშიმა-ფუტენო, ჰოკუტორიკი-კისენოსატო, ჰომაშო-კიტაძაკურა, ტოჩიოძანი-ტოსანოუმი.

**კალათბურთი**

# საზაფხულო ლიგა დაასრულა

**ნიკოლოზ ცქიტიშვილმა** დაასრულა ლას ვეგასის NBA-ს საზაფხულო ლიგაში თამაში, ბოლო მატჩში ნიკას "დენვერ ნაგითსმა" 108:116 წააგო "ნიუ იორკ ნიკსთან". ქართველი კალათბურთელი სასტარტო შემადგენლობაში იყო, მან კვლავ ცენტრის პოზიციაზე ითამაშა. ნიკამ მოედანზე 16 წუთი დაყო, მის ანგარიშზე 3 ქულა, 7 მოხსნა, 2 შედეგიანი გადაცემა და ერთი ჩაჭრაა. ცქიტიშვილის პასივშია 3 პერსონალური ფოლი და ხუთი დაკარგვა. დენვერელთაგან საუკეთესო **ვეიფერი** იყო, რომელმაც 42 ქულა ჩააგდო. ნიკა ცქიტიშვილმა საზაფხულო ლიგაში "დენვერის" ფორმა ოთხჯერ მოირგო, აქედან სამჯერ ქართველი სასტარტო ხუთეულში იყო. ნიკას საშუალო სტატისტიკა ასეთია: 6,8 ქულა და 6,2 მოხსნა და 1,2 პასი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ჭადრაკი**

# ფინიშის მოახლოვება

ფოთში მიმდინარე ნანა ალექსანდრიას სახელობის მეორე საერთაშორისო ფესტივალი დასასრულს უახლოვდება. ზურგსუკან 8 ტურია მოტოვებული და ბევრი რამ გამოკვეთილია, თუმცა არა ყველაფერი. ფესტივალზე, გარდა იმისა, რომ გამარჯვებულებს და პრიზიორებს აჯილდოებენ, სხვა მრავალი პრიზიც არის დაწესებული და მათ შესახებ ტურნირის გასრულების შემდეგ მოგახსენებთ.

არის ასაკობრივი ჯგუფი, სადაც ჩემპიონები უკვე გამოვლინდნენ: 12-წლამდელთა შორის 8-დან 8 ქულით (!) პირველობს **ირაკლი ბერაძე**; უახლოესი მდევარი მას 1.5 ქულით ჩამორჩება, რაც ბერაძის ჩემპიონობას ნიშნავს. ასეთივე შესანიშნავი შედეგი აქვს 10 წლამდე გოგონებში **მარი ჭოლაძეს** - 8-დან 8 ქულა. ის უახლოეს მდევარს ორი ქულით უსწრებს. პირველობა დაიბევა 8-წლამდელთა შორის **ნინო ჯალალონიამ.** მართალია, მას ნახევარი ქულის დათმობა მოუხდა მე-8 ტურში, მაგრამ მეორეადგილოსანს ქულანახევრით უსწრებს და, ცხადია, ჩემპიონობისთვის ესეც საკმარისია. დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში გამარჯვებული ბოლო ტურმა უნდა გამოავლინოს. ინტერესისთვის ყოველ ასაკში 8 ტურის შემდეგ პირველ სამეულის შედეგს გამცნობთ:

ბიჭები. **8-წლამდელები:** 1. ალეკო პანასენკო (საქ.)-6.5; 2. ლუკა ლიჩელი (საქ.)-6.5; 3. ავთო ფანჩულიძე-6; **10-წლამდელები:** 1. არსენ აგაჯანიანი (სამხ.)-7.5; 2. ტიგრან ჰარუტუნიანი (სომხ.)-7; 3. ნიკოლოზ ქუმსიაშვილი-6.5. **12-წლამდელები:** 1. ირაკლი ბერაძე-8; 2. აკაკი რუხაძე-6.5; 3. რატი ცომაია-6. **16-წლამდელები:** 1. დავით ბენიძე-7; 2. ზვიად ფაცაია-6.5; 3. ირაკლი ჯანიაშვილი-6.

გოგონები. **8-წლამდელები:** 1. ნინო ჯალალონია-7.5; 2. მარი ჩალაძე-6; 3. თინათინ ლალაძე-5.5. **10-წლამდელები:** მარი ჭოლაძე-8; 2. ადა ქაქუთია-6; 3. ნინო ხომერიკი-5.5. **12-წლამდელები:** 1. ანა შამათავა-6.5; 2. ნანი უნაფქოშვილი-6; 3. თეკლა მაჭარაშვილი-6. **16-წლამდელები:** 1. მერი არაბიძე-6.5; 2. სალომე სირაძე-6; 3. ქეთი ნანალაშვილი-5.

როგორც უკვე გაუწყეთ, ორგანიზატორები სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებასაც აწყობენ. შაბათს საფეხბურთო მატჩი შედგა, სადაც ტურნირის ქართველი მონაწილეები ორ ჯგუფად - დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს მკვიდრებად დაიყვნენ. ძირითადი დრო ფრედ - 4:4 დასრულდა. პენალტების სერიაში კი 5:4 დასავლეთმა იმარჯვა.

ამის შემდეგ გაიმართა მატჩი მწვრთნელებს შორის. პრინციპი კვლავ ტერიტორიული იყო - დასავლეთი და აღმოსავლეთი. გამარჯვება აქაც დასავლეთს დარჩა - 4:3.

სამწუხაროდ, კიდევ ერთი საინტერესო მატჩის გამართვა ვერ მოხერხდა - უამინდობამ შეუშალა ხელი მონაწილეებს - ქართველები სომეხ მოჭადრაკეებს უნდა შეხვედროდნენ, შემდეგ, კი - აზერბაიჯანელებთანაც უნდა ეცადათ ძალა.

ამას გარდა, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მწვრთნელთა შორის ჭადრაკშიც უნდა გამართულიყო შეჯიბრება - ბლიცში. მიზეზი ალბათ აქაც "უამინდობა" იყო. ნახევრად სერიოზულად თუ ვიტყვით, აღმოსავლელებს ფეხბურთში მარცხისთვის რევანშის აღება შეეძლოთ, მაგრამ, როგორც ჩანს, საკუთარ საჭადრაკო ძლიერებაშიც შეეპარათ ეჭვი და სრულ განადგურებას, გაცლა ამჯობინეს. სრული სერიოზულობით კი იმის თქმა შეიძლება, რომ ტურნირი შედგა, მონაწილენიც და გულშემატკივრებიც კმაყოფილნი არიან. ეს კი ტრადიციის განმტკიცების და გაგრძელებას ნიშნავს. ვფიქრობთ, ფოთის ჭადრაკის მესვეურები გვაიმედებენ, რომ მომავალი წლიდან ფესტივალი უფრო მასშტაბური გახდება და მსოფლიო საჭადრაკო საზოგადოების დიდი ნაწილის ყურადღებას მიიპყრობს.

**ზვიად შათირიშვილი**

**სპორტის აკადემია**

# შეხვედრა ჭავჭავაძის უნივერსიტეტში

გუშინ, დილიდანვე კვლავ შეიკრიბნენ სპორტის აკადემიის წინ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები, რომლებსაც როდესმე ურთიერთობა ჰქონიათ ან დღეს აქვთ ამ უმაღლეს სასწავლებელთან. თუმცა სოლიდარობის დასტურად, ქართული სპორტის ის წარმომადგენლებიც გამოჩნდნენ, რომლებსაც აკადემიასთან არანაირი კავშირი არ აქვთ და არც ჰქონიათ, მაგრამ მიმდინარე პროცესებში ზოგადად ქართული სპორტისთვის შემცველ სერიოზულ საფრთხეს ხედავენ.

*"შევხვდი ი. ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს, გიგი თევზაძეს, რომლისგანაც შევიტყვე, რომ სპორტის აკადემია არა როგორც ფაკულტეტი, არამედ სახელის შენარჩუნებით და შტატებით, სასწავლო პროგრამებით და ა.შ. შეუერთდება უნივერსიტეტს, სადაც მას ექნება ყველაზე ფართო ავტონომია ამ სასწავლებლის სტრუქტურაში".* - განუცხადა ახლა უკვე აკადემიის ყოფილმა რექტორმა, პროფესორმა **ჯემალ გუგუშვილმა** შეკრებილებს. ჭავჭავაძის უნივერსიტეტის რექტორთან შესახვედრად და დეტალების დასაზუსტებლად იქვე გამოიყო ნდობის ჯგუფი. მისიის წევრები უკან მალე მობრუნდნენ. ის იყო განვიმდა კიდეც და შეკრებილებმა აკადემიის კლუბში გადაინაცვლეს. პროფესორი **გურამ ძაგანია** ხალხით გადაჭედილ დარბაზს აუწყებს, რომ მოუცლელობის გამო, შეხვედრა რექტორთან მხოლოდ 15 წუთით შედგა, ვრცლად და ამომწურავად შეკითხვებზე პასუხის მისაღებად კი ოთხშაბათისთვის გადაიდო შეხვედრა. მაინც რა ითქვა საათის იმ მეოთხედში? ძირითადად ის, რაც უკვე გააჟღერა ჯემალ გუგუშვილმა. *"ჩემს ინტერესში არ შედის აკადემიის გაუქმება"*, - უთქვამს თევზაძეს. მისივე თქმით, წლეულს სწავლა განახლდება იმავე პროგრამით, რაც დაგეგმილია, 2008 წლიდან კი ახალი შემუშავდება. ამასთან, შენარჩუნდება ხელფასები, არ ჩატარდება არანაირი კონკურსი პროფესორ-მასწავლებლებისთვის. დირექტორად კი ის დაინიშნება, ვის კანდიდატურასაც აკადემია თავად წარადგენს.

ზოგიერთმა გამომსვლელმა ეჭვი შეიტანა და განაცხადა, რომ როცა მთავრობის დადგენილებით გაუქმებულია აკადემიის ყველა მმართველი სტრუქტურა, ბუნდოვანი რჩება დაპირებები. საერთოდ, დაისვა საკითხი თუ რამდენად კანონიერია აკადემიის ზემოხსენებულ უნივერსიტეტთან ინტეგრირება. ასეთი რამ კანონით, უპირველესად, ხორციელდება ნებაყოფლობით, აკადემიას კი დასტური არავისთვის მიუცია. გაჟღერდა სხვა პარადოქსიც. თურმე ასეთი ინტეგრირებისთვის დაწესებულია 15 სავალდებულო მოთხოვნა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი 14 ვერ აკმაყოფილებს ხსენებულ მოთხოვნებს. ხოლო ის ერთი, რომელიც შეიძლება თანმხვედრ ინტერესად ჩაითვალოს, ეკონომიკური ეფექტი ყოფილა, ანუ ერთ სასწავლებელს ნაკლები დაფინანსება დასჭირდება, ვიდრე - ორს. ვითარება იქითკენ მიდის, შეიძლება საქმე სასამართლომდეც მივიდეს. *"ასეთი გაერთიანება არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში არ მომხდარა, შორს წასვლა რად გვინდა, აგერ მეზობელ სომხეთში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროფილის ორი დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებელია".* - ესეც ითქვა.

აკადემიის სტატუსის შენარჩუნების მხარდამჭერთა რიცხვი უფრო და უფრო იზრდება. *"უარეს პირობებში არ წავალთ. ხომ ნახეთ, ინტერაქტივის გამოკითხვით 97 პროცენტმა დაგვიჭირა მხარი. ისე გამოდის, დედაზე ვთქვათ უარი და დედინაცვალს შევეგუოთ. იმედია, ხელისუფლება გაგვიგებს, საქართველოს სპორტული სამყარო და, საერთოდ, ჩვენი ქვეყანა იმსახურებს, შევინარჩუნოთ უდიდესი დამსახურებისა და ტრადიციების უმაღლესი სასწავლებელი - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია".* - ამ პათოსით დასრულდა გუშინდელი შეკრება.



მილოცვა

**საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაცია საიუბილეო 60 წლისთავს ულოცავს ქართული ჭიდაობის თვალსაჩინო მოღვაწეს, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს, გიორგი ბინკინაშვილს. უსურვებს მას წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.**

## კალათბურთი

მაიამი ჰიტი

# მურნინგის კიდევ ერთი სეზონი



ალონზო მურნინგი

"მაიამი ჰიტმა" გამოცდილი ცენტრი **ალონზო მურნინგი** პროფესიულ ლიგაში კიდევ ერთი წლით თამაშზე დაიყოლია. კალათბურთელის თქმით, იგი ყველანაირად ეცდება, ფლორიდელებს კიდევ ერთხელ მოაგებინოს ფლეი ოფი და ამის მერე, მშვიდად გავა პენსიაზე.

*"ჰიტი" ჩემპიონი უნდა გახდეს. თუნდაც დღევანდელი შემადგენლობით ამისი საუკეთესო შანსი გვაქვს. შარშანდელ ფლეი ოფში საკუთარ თავს არ ვგავდით, "ჩიკაგოსთან" სერიაში სასტიკად დავმარცხდით და გულშემატკივრებს გული ვატკინეთ. ბევრად უკეთ გამოსვლა შეგვეძლო და მჯერა, ამას ამ სეზონში გავაკეთებთ"*, - განაცხადა ზომ, რომელიც წლეულს თავის მე-15 პროფესიულ რეგულარულს დაიწყებს.

მურნინგი შარშანდელ რეგულარულში საშუალოდ 8.6 ქულას აგროვებდა. დამდეგ სეზონში მისი ანაზღაურება 2.8 მილიონი დოლარი იქნება. შეგახსენებთ, რომ ზო "ყველა ვარსკვლავის" მატჩის შვიდგზის მონაწილე და ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო დამცველია.

"მაიამიმ" უკვე დაკარგა სნაიპერი **ჯეისონ კაპონო** ("ტორონტოში" გადავიდა) და დიდი შანსია, რომ უახლოეს დღეებში გუნდი კიდევ ერთმა უკანახაზელმა, ვეტერანმა **გარი პეიტონმა** დატოვოს. მას "მემფისი" და "დენვერი" ეპატიჟებიან.

■ ■ ■

შეუზღუდავი უფლებების მქონე თავისუფალი აგენტი **დეშონ სტივენსონი** "ვაშინგტონ უიზარდსში" დარჩა. ხელშეკრულების დეტალები არ გამხელილა, თუმცა სტივენსონთან დაახლოებულმა პირმა აღნიშნა, რომ დეშონი "ვიზარდში" 4 სეზონს დაჰყოფს და ამ დროში 15 მილიონ დოლარს მიიღებს.

შარშან, სტივენსონმა "ვაშინგტონში" პირველი სეზონი ჩაატარა და ერთ მატჩში საშუალოდ 11.2 ქულას, 2.7 შედეგიან გადაცემასა და 2.6 მოხსნას აგროვებდა.

"ვაშინგტონის" თემა კი ერთი საინტერესო ამბით დავასრულოთ - სანდო წყაროები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ "უიზარდსი" და "ინდიანა" დიდ გაცვლას ამზადებენ. დედაქალაქში **ტროი მერფი** და **მაიკ დანლივი** გადავლენ, ხოლო "პეისერზის" შემადგენლობაში **ანტუან ჯეიმისონი** ჩაირიცხება.

■ ■ ■

"მილუოკის" ბოსებმა ფლეიმეიქერი **მო უილიამსი** დაარწმუნეს, რომ "ბაქსში" დარჩენით იგი გაცილებით მეტს მიაღწევდა, ვიდრე "მაიამიში" ჩარიცხვით. ორი დღის წინათ, უილიამსს "ჰიტმა" 5-წლიანი ხელშეკრულება შესთავაზა, რომლის მიხედვითაც მოთამაშეს 31.4 მილიონი უნდა მიეღო. "მილუოკის" ამ ხელშეკრულების გადასაფარად 48 საათი ჰქონდა.

საბოლოოდ, მხარეები შემდეგ პირობაზე შეთანხმდნენ - მო "ბაქსში" 6 წლით დარჩა, გუნდი კი მის პირად საბანკო ანგარიშს 52 მილიონით შეავსებს.

მო უილიამსს შარშან კარიერაში საუკეთესო სეზონი ჰქონდა. აღმოსავლელთა გამთამაშებელი გუნდს საშუალოდ 17.3 ქულით, 6.1 შედეგიანი გადაცემითა და 4.8 მოხსნით შეეწია. გარდა ამისა, უილიამსი გუნდის საუკეთესო დამცველადაც ჩამოყალიბდა.

■ ■ ■

მას მერე, რაც "ნიუ ჯერსი ნეტსმა" თავისუფალი აგენტი, ცენტრი **მიკი მური** დაკარგა (ეს უკანასკნელი "საკრამენტოში" გადავიდა), გუნდმა მაშინვე იპოვნა მისი შემცვლელი და სამწლიანი კონტრაქტი გამოცდილ **ჯამაალ მაგლოირს** გაუფორმა.

მაგლოირი, რომელიც თავის დროზე "ყველა ვასრკვლავის მატჩის" მონაწილეც კი იყო, დღეს სამედიცინო შემოწმებას გაივლის და 2 დღეში მისი წარდგენაც შედგება.

შარშან ჯამაალს კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად პროდუქტიული რეგულარული ჰქონდა. "პორტლენდ ტრაილ ბლეიზერსში" ყოფნისას, იგი ერთ შეხვედრაში საშუალოდ სულ 6.5 ქულასა და 6.1 მოხსნას უყრიდა თავს. მან მონაწილეობა 81 მატჩში მიიღო. 23 შეხვედრაში ორეგონელთა მთავარმა მწვრთნელმა **ნეიტ მაკმილანმა** იგი სასტარტოში დააყენა და ამ მატჩებში გამოცდილი ცენტრის სტატისტიკა 8.4 ქულა და 8.1 მოხსნა იყო.

■ ■ ■

როგორც იცით, რამდენიმე დღის წინათ. მოქმედმა ჩემპიონმა "სან ანტონიომ" "ჰიუსტონიდან" ბერძენი უკანახაზელი **ვასილის სპანულისი** აიყვანა, ხოლო თანაშტატელს კი არგენტინელი **ლუის სკოლას** საკონტრაქტო უფლებები გადაულოცა. "როკეტსი" სკოლას ამჟამინდელ კლუბს, ესპანურ "ტაუს" მოთამაშის გამოსასყიდ თანხაზეც მოურიგდა, როდესაც მოულოდნელად, "როკეტსში" გადასვლაზე უარი თავად ლუისმა განაცხადა.

*"რატომღაც, ჩემი აზრი არავის აინტერესებს, მე კი "ჰიუსტონში" თამაშის პერსპექტივა არ მხიბლავს. კარიერას მხოლოდ ტაუში ან "სან ანტონიოში" გავაგრძელებ და იმედია, ყველაფერი ასე დალაგდება. გაცვლა კი გაკეთდა, მაგრამ ვფიქრობ, "ჰიუსტონს" არ უნდა სურდეს ისეთი მოთამაშის დამატება, ვისაც იქ გამოსვლა არანაირად არ უნდა"*, - აღნიშნა ესპანელ ჟურნალისტებთან საუბარში არგენტინელმა.

## TV სპორტი

### 17 ივლისი. სამშაბათი

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-მილანი.
14:00 ამხანაგური მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი-ურავა რედსი (იაპონია) (LIVE).
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. 1/8 ფინალი. ლიონი-სოსიედადი. საპასუხო მატჩი.
18:05 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ვერდერი.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 ამხანაგური მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი-ურავა რედსი (იაპონია).
22:00 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ იუნაიტედი.
23:50 ტოქ-შოუ - 90 წუთი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 მძლეოსნობა.
08:25 ჰოკეი.
08:55 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბაიერნი.
10:45 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ბეტისი.
12:25 სპორტკლუბი.
12:40 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-ინტერი.
14:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიუპორტი. აშშ.
16:30 აფროსნობა. ამერიკის თასი.
17:00 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ჰამბურგი.
18:45 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სელტა.
20:40 სპორტკლუბი.
20:55 ჰოკეი. NHL. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. მინესოტა-ანაჰაიმი.
22:30 ჰოკეი.
22:55 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 2005-06 წლების სეზონი. მილანი-ბარსელონა.
00:40 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ბეტისი.
02:25 აფროსნობა. ამერიკის თასი.
02:55 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბაიერნი.
04:35 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-ინტერი.
06:25 მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.

#### EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გერმანია-რუსეთი. ავსტრია.
12:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალური ეტაპი. კატოვიცე. პოლონეთი.
13:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VIII ეტაპი.
14:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IX ეტაპი (LIVE).
19:15 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გერმანია-რუსეთი. ავსტრია.
20:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ჰანოვერი-რეინჯერსი (LIVE).
22:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ვერდერი-ლივერპული (LIVE).
00:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IX ეტაპი.
01:30 რალი. ახალი სერია. რუსეთი.

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. სან ხოსე-ჩიკაგო.
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/4 ფინალი. კანადა.
14:00 ახალი ამბები.
16:00 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. სერბეთი.
17:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის გრან პრი.
19:00 სოფტბოლი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. ოკლაჰომა. აშშ.
20:00 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. სერბეთი.
21:45 ახალი ამბები.
22:00 ფეხბურთი. დანონის თასი. ლიონი. საფრანგეთი.
22:30 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. სერბეთი.
00:15 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. სან ხოსე-ჩიკაგო.
01:00 ახალი ამბები.
01:15 პრო-რესტლინგი.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ევრო 2007. UNDER 19 | |
|---|---|
| საბერძნეთი-პორტუგალია | 1:0 |
| საფრანგეთი-სერბეთი | 5:2 |
| გერმანია-რუსეთი | 3:2 |
| ავსტრია-ესპანეთი | 0:2 |
| **აზიის თასი** | |
| ომანი-ერაყი | 0:0 |
| ტაილანდი-ავსტრალია | 0:4 |
| კატარი-საემიროები | 1:2 |
| ვიეტნამი-იაპონია | 1:4 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| რედინგი-ლიონი | 1:0 |
| რივერ პლეიტი-შიმიზუ | 1:0 |
| ესენი-სლავია | 1:4 |
| **შვედეთი** | |
| ბრომაპოიკარნა-გეფლე | 2:1 |
| ჰალმსტადი-ერებრუ | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ფალკენბერგი-მიალბიუ | 0:3 |
| ნორჩოპინგი-დეგერფორსი | 3:2 |
| ოსტერსი-ენჩოპინგი | 0:0 |
| **ფინეთი** | |
| ტურკუ-კტპ | 3:2 |
| **ირლანდია** | |
| შემროკი-დუბლინი | 2:0 |
| **ისლანდია** | |
| ფილკირი-ბრეიდაბლიკი | 0:3 |
| პკ-ვიკინგური | 2:2 |
| ფრამი-ვალური | 0:2 |

### ჩოგბურთი

| ATP. ამერსფორტი | |
|---|---|
| კოროლიოვი-ჰრბატი | 6:3, 6:7, 6:3 |
| კალერი-დევილდერი | 3:6, 1:6 |
| ვლიეგენი-საბალეტა | 3:6, 3:6 |
| მანტიია-ჰაასე | 3:6, 2:6 |
| მონტანიესი-ჰანესკუ | 6:7, 6:4, 6:7 |
| სიმონი-რამირეს იდალგო | 6:2, 6:4 |
| **ATP. ლოს ანჯელესი** | |
| კიფერი-გაბაშვილი | 6:3, 6:3 |
| **ATP. შტუტგარტი** | |
| გარსია ლოპესი-პაშანსკი | 6:1, 2:6, 4:6 |
| ბეკერი-ჩილიჩი | 3:6, 2:6 |
| ვერდასკო-მაიერი | 6:3, 6:2 |
| ვანეკი-ნავარო პასტორი | 6:1, 6:1 |
| რობრედო-მონფილსი | 6:7, 2:6 |
| **WTA. პალერმო** | |
| კრაიჩეკი-ბირნეროვა | 2:6, 4:6 |
| პირონკოვა-კლოზელი | 2:6, 3:6 |
| **WTA. ცინცინატი** | |
| მორიგამი-პინი | 4:6, 7:6, 7:6 |

## კრივი

სატიტულო ბრძოლები

# როი ჯონსი ისევ ჩემპიონია

იყო დრო, როცა **როი ჯონს უმცროსი** მსოფლიოს საუკეთესო მოკრივე იყო (წონის გაუთვალისწინებლად) და, რა თქმა უნდა, მეორეხარისხოვან გაერთიანებათა ტიტულებისთვის ბრძოლას არ კადრულობდა. მაგრამ ის დრო წარსულს ჩაბარდა. ამის დასტური კი ისაა, რომ 38 წლის მოკრივე გასულ უქმეებზე IBC-ს (კრივის საერთაშორისო საბჭო) ვერსიით, ქვემძიმე წონის ტიტულისთვის ამერიკელ **ენტონი ჰენშოუს** შეხვდა. შეხვდა, ქულებით მოუგო და ახალი სარტყელიც მოირგო.

ჯონსმა, ვინც თავის მეტოქეზე 9 წლით ხნიერია, ჰენშოუს ერთადერთხელ, მე-11 რაუნდში აგემა ნოკდაუნი. თუმცა, ესეც რომ არა, ჯონსი, ვისაც თავისი კარიერის საუკეთესო პერიოდში, საშუალო, ზესაშუალო, ქვემძიმე და ზემძიმე წონებში აქვს მოპოვებული ტიტულები, ქულებით მაინც იგებდა ბრძოლას.

საბოლოოდ, ჯონსმა (51-4, 38 ნოკაუტი) სამივე მსაჯის ბარათზე უპირატესობა (114-113, 117-110 და 118-109) მოიპოვა. ეს მის მიერ მოპოვებული ზედიზედ მეორე გამარჯვებაა. შეგახსენებთ, რომ დაახლოებით ერთი წლის წინათ, მან **ბადი აჯამუ** დაამარცხა.

რაც შეეხება ჰენშოუს (21-1-1), ჯონსამდე მას ნაგების სიმწარე არ ენვნია. შუა ბრძოლაში ის გარკვეულ უპირატესობასაც კი დაეუფლა. მაგრამ მერე ჯონსმა მთელ რინგზე დაანესა კონტროლი და ქულებსაც იოლად აგროვებდა.

პარალელურად, კალიფორნიის ქალაქ კერსონში, ამერიკელმა **პოლ უილიამსმა** (33-0) ქულებით, მცირე უპირატესობით აჯობა მექსიკელ **ანტონიო მარგარიტოს** (34-5) და მას WBO-ის როჭოს წონის ტიტული ჩამოართვა. ამ ბრძოლამდე მარგარიტომ თავისი ტიტული ექვსჯერ დაიცვა. ამჯერად, თავიდან მას მდევრის როლში ყოფნამ მოუწია. თუმცა, ბრძოლის შუაში ქულებში ჩამორჩენა ამოქაჩა და მცირე უპირატესობას თავადაც კი დაეუფლა. ბოლოსწინა რაუნდში მან პრეტენდენტს მარცხენა ნარბიც კი გაუხეთქა, მაგრამ ბოლო რაუნდი უილიამსმა მოიგო, რისი წყალობითაც სამივე მსაჯის ბარათზე მცირე უპირატესობას (115-113, 115-113, და 116-112) მიაღწია.

ბრძოლის შემდეგ მარგარიტო ალშფოთებას ვერ ფარავდა - უილიამსმა ბევრჯერ კი მომარტყა მუშტი, მაგრამ ერთიც არ მტკენია, მეცხრე რაუნდის შემდეგ კი აშკარა უპირატესობა მქონდა და სამივე ბარათზე წინ ვიყავიო, - ირწმუნება ან უკვე ყოფილი ჩემპიონი.

*"ვიცოდი, რომ მარგარიტო ბრძოლის მეორე ნახევარშია ხოლმე მაგარი და ამიტომ, თავიდანვე შევუტიე, რომ მისთვის არაქათი გამომეცალა. მეექვსე რაუნდის შემდეგ ის მართლაც გამოცოცხლდა, მაგრამ ვფიქრობ, მსაჯებმა სამართლიანად მომაკუთვნეს გამარჯვება"*, - განაცხადა ახალმა ჩემპიონმა.



გატიმ კრივი ნაგებულმა დატოვა

დაბოლოს, ატლანტიკ სიტის (შტატი ნიუ ჯერსი) "ბორდუოკ ჰოლის" რინგზე თავისი კარიერის ბოლო ბრძოლა გამართა კანადელმა (წარმოშობით მონრეალელია და ნიუ ჯერსიში ცხოვრობს) **არტურო გატიმ**. სამწუხაროდ, უშიშარი მებრძოლის რეპუტაციის მქონე მოკრივემ, ვინც თავისი პროფესიული კარიერის ბოლო ცხრა ბრძოლა ატლანტიკ სიტიში ჩაატარა, რინგი ნოკაუტირებულმა დატოვა.

ტელეშოუ "კონტენდერის" მექსიკელმა ვარსკვლავმა **ალფონსო გომესმა** გატის პირველი ექვსი რაუნდის განმავლობაში დაუნდობლად ურტყა, მეშვიდეს მინურულს კი ნოკაუტი აგემა. როგორც კი გონს მოეგო, გატიმ (40-9, 31 ნოკაუტი) მაშინვე აუწყა მაყურებელს, ეს ჩემი ბრძოლა იყოო. ბრძოლის შემდეგ, გომესი გაოცებული იყო რეფერის საქციელით - ის ვალდებული იყო, ბრძოლა შეეწყვიტა, მაგრამ მის ნაცვლად, ამის გაკეთება მე მომიხდაო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## მძლეოსნობა

ტურნირი

# წვიმით ჩაშლილი რეკორდი

ამერიკელი სპრინტერი **ტაისონ გეი** ირწმუნებოდა, შეფილდის დიდ პრიზზე ასპარეზობისას, უამინდობა მსოფლიო რეკორდის დამყარებაში ხელს ვერ შემიშლისო. მაგრამ დანაქადნები ვერ შეასრულა და ამაში, რა თქმა უნდა, ხელი უამინდობამ შეუშალა.

ას მეტრზე სპრინტის მოგება მან შეძლო, მაგრამ ნაჩვენები დროით (10.13 წამი) უკმაყოფილო დარჩა. აბა, რა იქნებოდა, როცა სეზონის საუკეთესო შედეგი (9.84 წამი) ეკუთვნის და ამ სეზონში ასი მეტრი ათ წამზე მეტში ერთხელაც არ ურბენია. თანაც, კაცი მთელი სეზონი ამბობდა, რეკორდს შეფილდში გავაუმჯობესებო.

*"გუშინ რომ სტადიონზე მოვედი, კარგი ამინდი იყო და მეგონა, რომ ტურნირის დროსაც ასე იქნებოდა. ვიფიქრე, რეკორდის დასამყარებლად შესანიშნავი პირობები მექნებოდა. მაგრამ მერე ამინდი რადიკალურად შეიცვალა. მოკლედ, სურვილის მიუხედავად, სხეულმა რეკორდის დამყარების საშუალება არ მომცა და ამის მთავარი მიზეზი სიგრილე იყო"*, - განაცხადა გეიმ, ვინც მხოლოდ 0.10 წამით აჯობა მეორეზე გასულ ბრიტანელ **მარლონ დევონიშს**.

უამინდობამ მარტო გეის როდი შეუშალა ხელი კარგი შედეგის ჩვენებაში. კიდევ ერთი დაზარალებულის სახელია **ჯერემი უორინერი**. რა თქმა უნდა, ამერიკელი 400 მეტრზე გარბენში მთავარი ფავორიტი იყო, მაგრამ სტარტის ნიშანზე ფეხსაცმელი გასძვრა და ასპარეზობაც იქვე შეწყვიტა. მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს რომ ხელი მოეცარა, ესტაფეტა მისგან მისივე თანამემამულე **ანჯელო ტეილორმა** გადაიბარა, რომელმაც ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა.

400 მეტრზე გარბენი იმითაც იყო საინტერესო, რომ მასში მონაწილეობდა ცნობილი სამხრეთაფრიკელი **ოსკარ პისტორიუსი**. ეს კაცი ცნობილი იმითაა, რომ ორივე ფეხი ამპუტირებული აქვს და პროტეზით მსოფლიოს საუკეთესო მორბენლების დონეზე ასპარეზობს. რა თქმა უნდა, შეფილდის გარბენში მან ბოლო ადგილი დაიკავა, მაგრამ მსაჯებმა ეს შედეგიც გაუუქმეს, რისი მიზეზიც ის გარემოება გახდა, რომ პისტორიუსმა სარბენი ზოლის საზღვარი გადაკვეთა. ისე კი მან ფინიშს 47.65 წამში (გამარჯვებულის დრო 45.25 წამია) მიაღწია.

110 მეტრზე თარჯრბენში მცირე უპირატესობით გაიმარჯვა ჩინელმა მსოფლიო რეკორდსმენმა **ლიუ სიანმა**. მან ფინიშს 13.23 წამში უწია და მხოლოდ 0.04 წამით აჯობა ამერიკელ **რაიან უილსონს**.

200 მეტრზე სპრინტში ბადალი არ ჰყავდა ამერიკელ **უოლეს სპირმონს**, რომელმაც მცირე უპირატესობით აჯობა იამაიკელ **უსაინ ბოლტს**. ქალებს შორის იმავე დისტანციაზე ბადალი არ ჰყავდა ამერიკელ **ელისონ ფელიქსს**, რომელმაც მხოლოდ 0.09 წამით აჯობა თანამემამულე **სანია რიჩარდსს**. 3000 მეტრზე რბენაში კი ეთიოპიელმა **კენენისა ბეკელემ** იოლ გამარჯვებას მიაღწია.

ინტერვიუ პიტ სამპრასთან

# მე არ ვარ მოტივაცია

**უიმბლდონი შვეიცარიელი როჯერ ფედერერის მორიგი და დაგეგმილი გამარჯვებით დასრულდა. შვეიცარიელმა კარიერაში "დიდი სლემის" მე-11 ტიტული მოიპოვა, რითაც ყველა დროის რეკორდსმენს, ამერიკელ პიტ სამპრასს მხოლოდ სამი გამარჯვებით ჩამორჩება. იანკი ვარსკვლავი უიმბლდონზე შვიდჯერ გაჩემპიონდა და სიმართლე ითქვას, ამას როჯერზე დამაჯერებლად და გაცილებით ძლიერი, სახიფათო ოპონენტების წინააღმდეგ ბრძოლაში აკეთებდა. სამპრასი შვიდჯერ გასულა უიმბლდონის ფინალში და ყველა გადამწყვეტი მატჩი მოიგო, ხოლო მისი და ფედერერის ერთადერთი შეხვედრა კი სწორედ ამ ბალახის კორტებზე შედგა. 2001-ში, ამერიკელი და შვეიცარიელი მეოთხე წრეში შეხვდნენ ერთმანეთს და როჯერმა პიტს 7:6, 5:7, 6:4, 6:7, 7:5 მოუგო.**

**ალნიშნულ ინტერვიუში პიტ სამპრასი აწდასრულებულ უიმბლდონზე, მის მთავარ ტრიუმფატორსა და როჯერის ძირითად კონკურენტებზე საუბრობს.**

**- პიტ, ალბათ, დროა დაბრუნდეთ და ახალგაზრდებს უიმბლდონზე გამოსვლის კარგი გაკვეთილი ჩაუტაროთ.**

- აუცილებლად. დარწმუნებული ვარ, უიმბლდონის ორგანიზატორები დღე და ღამე ჩემს დაბრუნებაზე ოცნებობენ. მე-200 ჩოგანთან წავაგებ, მერე დავისვენებ, კიდევ წელიწადი მოვემზადები და ერთი წლის მერე, ღმერთის წყალობით, კარგ ფორმაში ვიქნები და ერთ წრეს გავივლი (იცინის).

**- რა უნდა ვთქვათ ფედერერზე ისეთი, რაც მანამდე არ გვითქვამს?**

- ალბათ, ვერაფერს დავამატებთ. ის შეუდარებელია, ნამდვილი დომინანტი და ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე. მისი თამაში არანაირ კომენტარს არ საჭიროებს. როჯერი მხოლოდ ჩემპიონობაზეა დაგეშილი. დააკვირდით, რამხელა მარაგით ეთამაშა ფედერერი ფინალში ნადალს? მართალია, მატჩი 5 სეტს გაგრძელდა, მაგრამ, ნუთუ, არ შეგექმნათ შთაბეჭდილება, რომ როჯერს ნებისმიერ მომენტში შეეძლო მომატება? მე ამაში დარწმუნებული ვიყავი. თანაც, ფედერერმა აშკარად იმუშავა საკუთარ მოწოდებაზე და ბალახზე მისი დამარცხება კიდევ უფრო რთული გახდა.

**- როდის დასრულდება მისი უიმბლდონური ეპოპეა?**

- ვერ გეტყვით. როჯერს იქამდე შეეძლება ამ ტურნირზე ყველას დამარცხება, სანამ მას ამისი მოტივაცია ექნება შენარჩუნებული. დააკვირდით, ზოგ მატჩში მისი ოპონენტები იმდენად შეშინებულები გადიოდნენ კორტზე, რომ როჯერს მათ შეცდომებზე თამაშითაც შეეძლო შემდგომ წრეში გასვლა. ეს უდიდესი კლასისა და გამოცდილების დამსახურებაა, როდესაც იცი, თუ როგორ უნდა გადაანაწილო ენერგია და ვისთან რამდენად უნდა დაიხარჯო.

**- ამცირებს თუ არა ნადალი ბალახის კორტებზე ფედერერთან არსებულ ჰანდიკაპს?**

- არანაირი ჰანდიკაპი არ არსებობს. უბრალოდ, ნადალმაც მშვენივრად იცის, რომ ეს მისი საფარი არ არის. რაფაელი ნელ საფარზე დაუმარცხებელია, მაგრამ თუ დააკვირდით, ფედერერი უფრო ახლოსაა მის ძლევასთან თიხნარზე, ვიდრე ნადალი ბალახზე როჯერის დამარცხებასთან. ფედერერი რაფაელზე გაცილებით ძალისმიერია, მისი მოწოდება ბალახის კორტებს უხდება, რასაც ვერ ვიტყვით ესპანელზე. ზედიზედ ორჯერ უიმბლდონის ფინალში გასვლა შესანიშნავი შედეგია, მაგრამ, ალბათ, ნადალმაც იცის, რომ ამ საფარის ულაპარაკო ფავორიტი ჯერაც ფედერერია.

**- როჯერის მორიგი ჩემპიონობის მერე დაიწყო მისი, თქვენი და ახლა უკვე, ბიორნ ბორგის შედარება.**

- ამისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ფედერერი ჩემპიონია, ასეთივე უმაღლესი დონის მოთამაშე იყო ბორგიც და მეც არა მიშავდა. სხვებიც მაგრები იყვნენ. იგივე ბორის ბეკერი, რამდენიმე წლის განმავლობაში არაჩვეულებრივ ჩოგბურთს თამაშობდა, შემდეგ იყვნენ ედბერგი და ივანიშევიჩი. მაინც მიმაჩნია, რომ ჩემს დროს ამ საფარზე გაცილებით მეტს ჰქონდა ჩემპიონობის შანსი, ვიდრე ახლა. ნებისმიერ დროს შეეძლოთ ჩემი დამარცხება ტიმ ჰენმანს, პატ რაფტერს, მიხაელ შტიხს, გრეგ რუზეცკის, გორანს, ანდრე აგასის, მიხაელ კრაიჩეკს. ალბათ, ვინმე გამომრჩა კიდეც... ახლა კი, ფედერერის მერე მხოლოდ როდიკია და ისიც იმ შემთხვევაში შეძლებს როჯერის ძლევას, როცა საკუთარ თავს დაარწმუნებს, რომ იგი საუკეთესოა. ნიჭით როდიკი ფედერერს არ ჩამოუვარდება, თუმცა ენდის დღესაც სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს. ამ ბარიერის გადალახვას იგი ვერა და ვერ ახერხებს. როდიკი ძალიან პოპულარულია და თავისი სახელის მსხვერპლად რომ არ იქცეს, სასწრაფოდ უნდა მოიგოს რომელიმე სასლემო ტურნირი. კარგი იქნება, თუ ენდი ამ ფსიქოლოგიურ ბარიერს როჯერის დამარცხებით გადალახავს. როდიკს ნადალზე გაცილებით მეტი შესაძლებლობები აქვს და საინტერესოა, რომ თიხაზე იგი ფედერერზე გაცილებით სრულყოფილად თამაშობს. უბრალოდ, მისი ფსიქოლოგია დიდ პრობლემას წარმოადგენს.

**- როდიკის პრობლემა ისიცაა, რომ იგი ვერ ეგუება მწვრთნელთან ერთად მუშაობას.**

- თუ მას ჰგონია, რომ საკუთარ თავზე უკეთეს რჩევას ვერავინ მისცემს, ეს, მხოლოდ და მხოლოდ, მისი საქმეა, თუმცა მაინც მგონია, რომ მწვრთნელი მის შესაძლებლობებს უკეთ შეაფასებს და კომპლექსურად კარგად მოამზადებს. ჩემი აზრით, ენდიმ უნდა გააგრძელოს ჯიმი კონორსთან თანამშრომლობა. ჯიმბო მისთვის იდეალური დამრიგებელია.

**- ალბათ, ერთი, მაქსიმუმ ორი სეზონი და როჯერი თქვენს რეკორდსაც გააუმჯობესებს.**

- არადა, როგორ მეგონა, რომ დიდი სლემის 14 და მეტი ტურნირის მოგებას ველარავინ შეძლებდა (იცინის). რეკორდები იმისთვის მყარდება, რომ ადრე თუ გვიან, ვინმემ წინა მიღწევა გააუმჯობესოს და თუ ფედერერი ამას გააკეთებს, ეს კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს მის უდიდეს ნიჭსა და შესაძლებლობებს.

**- ჯიმი კონორსმა ერთეულებში 105 ტურნირი მოიგო, თქვენ კი მხოლოდ 64. როჯერს ამ ეტაპზე 49 გამარჯვება აქვს მოპოვებული. შესწვდება თუ არა ფედერერი კონორსის რეკორდს?**

- როჯერი ჩემს სასლემო რეკორდს უფრო გააუმჯობესებს, ვიდრე კონორსის არანორმალურ მაჩვენებელს. ჩემი აზრით, როჯერისთვის კონორსის კი არა, ივან ლენდლის (94 სატურნირო გამარჯვება - რედ.) შედეგის გაუმჯობესებაც ძალიან რთული იქნება. ამ ეტაპზე, ჩოგბურთი ძალიან დიდ ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს და დღეს ყველა ყველგან ველარ თამაშობს.

**- გრძნობთ თუ არა თავს ფედერერის საუკეთესო მოტივატორად?**

- არავითარ შემთხვევაში. ფედერერის მოტივაცია არა სამპრასი, არა კონორსი, ლენდლი ან აგასი, არამედ საკუთარი თავია. იგი მუდმივად იმას ცდილობს, რომ კარგი, ხარისხიანი ჩოგბურთი ითამაშოს და სწორედ ამაშია მისი საჩემპიონო ხასიათი.

ზურაბ თალაკვაძე



პიტ სამპრასი ოჯახთან ერთად



სანტორომ ნიუპორტის ტურნირი მოიგო

ტურნირები

# სკიავონეს წყალობით

**ფრანჩესკა სკიავონე** რომ არა, ფედერაციის თასის ფინალში, რუსეთის ნაკრებს ალბათ, საფრანგეთი დაუპირისპირდებოდა. სწორედ სკიავონეა ის ჩოგბურთელი, რომელმაც იტალიის ნაკრები ზედიზედ მეორედ გაიყვანა ფინალში. მსოფლიოს 31-ე ჩოგანმა სამივე თამაში (მათ შორის წყვილებისაც) მოიგო და იტალიას შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვის რეალური შანსი მისცა.

წყვილთა შეხვედრა გადამწყვეტი იყო და, ბუნებრივია, იტალიელთა კაპიტანმა კორტზე სკიავონე გაუშვა, რომელსაც მანამდე ერთეულებში ორივე თამაში მოგებული ჰქონდა. თავიდან მასპინძლებს (შეხვედრა იტალიის სამხრეთის სანაპირო ქალაქ კასტელანეტა მარინაში ჩატარდა) გაუჭირდათ, მაგრამ შემდეგ ფრანგებს დაღლა დაეტყოთ და ამით იტალიელებმა შესანიშნავად ისარგებლეს.

იტალიელებს, რომლებმაც ფედერაციის თასის შარშანდელი გათამაშების ფინალში ბელგია დაამარცხეს, განსაკუთრებით მას შემდეგ გაუჭირდათ, რაც ერთეულთა მესამე შეხვედრაში, **მარა სანტანჯელომ** ფრანგთა ლიდერ **ამელი მორესმოსთან** წააგო. არადა, სწორედ სანტანჯელოა ის ჩოგბურთელი, რომელმაც მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს უიმბლდონი მეოთხე წრეში დაატოვებინა.

მეოთხე შეხვედრაში, სკიავონემ ჯერ **ტატიანა გოლოვინს** მოუგო, შემდეგ კი, წყვილებში, **რობერტა ვინჩისთან** ერთად აჯობა **ნატალი დეშისა** და **სევერინ ბრემონის** დუეტს.

მეორე ფინალისტი კი რუსეთის ნაკრებია, რომელმაც ბოსტონში ადგილობრივ ამერიკელებს მოუგო. აქაც გამარჯვებული წყვილთა შეხვედრამ გამოავლინა. ამ ნახევარფინალის გმირი კი რუსი **ნადეჟდა პეტროვა** გახდა, რომელმაც ჯერ მეოთხე შეხვედრაში, **მეილენ ტიუს** მოუგო და ანგარიში გაათანაბრა, მერე კი, **ელენა ვესნინასთან** ერთად, **ვენუს უილიამსისა** და **ლაიზა რეიმონდის** დუეტიც დაამარცხა.

ფედერაციის ფინალი 15-16 სექტემბერს, რუსეთში (ქალაქი მოგვიანებით დადგინდება) ჩატარდება.

### ფედერაციის თასი

#### ნახევარფინალი

**იტალია–საფრანგეთი 3:2**

ტატიანა გარბინი (იტა)-ტატიანა გოლოვინი (საფ) 3:6, 6:2, 2:6; ფრანჩესკა სკიავონე (იტა)-ამელი მორესმო (საფ) 7:5, 6:3; მარა სანტანჯელო (იტა)-მორესმო (საფ) 0:6, 4:6; სკიავონე (იტა)-გოლოვინი (საფ) 6:4, 2:6, 7:5; სკიავონე/რობერტა ვინჩი (იტა)-ნატალი დეში/სევერინ ბრემონი (საფ) 4:6, 6:1, 6:2

**აშშ–რუსეთი 2:3**

ვანია კინგი (აშშ)-ანა ჩაკვეტაძე (რუს) 1:6, 3:6; ვენუს უილიამსი (აშშ)-ნადია პეტროვა (რუს) 7:6(6), 0:6, 6:4; უილიამსი (აშშ)-ჩაკვეტაძე (რუს) 6-1 6-4; მეილენ ტიუ (აშშ)-პეტროვა (რუს) 1:6, 2:6; უილიამსი/ლაიზა რეიმონდი (აშშ)-პეტროვა/ელენა ვესნინა (რუს) 5:7, 6:7(1)

### CAMPBELL'S HALL OF FAME

ნიუპორტი (აშშ). ბალახი

**საპრიზო ფონდი: 416 000 დოლარი**

#### ფინალი

**ფაბრის სანტორო (საფ, 4)**-ნიკოლა მაიუ (საფ, 5) 6:4, 6:4

## რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7290 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5225 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 3310 |
| 4(4). ენდი როდიკი (აშშ) | 3230 |
| 5(5). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 3175 |
| 6(6). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2780 |
| 7(8). ტომი რობრედო (ესპ) | 2085 |
| 8(7). რიშარ გასკე (საფ) | 2085 |
| 9(9). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2075 |
| 10(10). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 2045 |
| 11(11). ტომი ჰაასი (გერ) | 2035 |
| 12(12). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 1940 |
| 13(14). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1875 |
| 14(13). ენდი მარეი (ბრიტ) | 1865 |
| 15(15). დავიდ ფერერი (ესპ) | 1725 |
| 16(16). გილერმო კანიასი (არგ) | 1607 |
| 17(17). ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 1470 |
| 18(18). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 1370 |
| 19(19). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 1335 |
| 20(20). კარლოს მოია (ესპ) | 1295 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 886 |
| 2(2). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 801 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 561 |
| 4(4). ენდი როდიკი (აშშ) | 329 |
| 5(5). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 325 |
| 6(6). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 293 |
| 7(7). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 280 |
| 8(8). რიშარ გასკე (საფ) | 257 |
| 9(15). დავიდ ფერერი (ესპ) | 255 |
| 10(9). მიხაილ იუჟნი (რუს) | 249 |
| 11(10). გილერმო კანიასი (არგ) | 241 |
| 11(10). ტომი რობრედო (ესპ) | 241 |
| 13(12). ტომი ჰაასი (გერ) | 240 |
| 14(13). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 239 |
| 15(14). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 227 |
| 16(16). ენდი მარეი (ბრიტ) | 214 |
| 17(19). კარლოს მოია (ესპ) | 214 |
| 18(17). ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 208 |
| 19(18). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 204 |
| 20(22). პოლ-ანრი მატიო (საფ) | 186 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 4 059 820 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპ) | 3 997 135 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1 924 850 |
| 4. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 979 050 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 929 665 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 869 420 |
| 7. ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ) | 868 320 |
| 8. მიხაილ იუჟნი (რუს) | 793,280 |
| 9. ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 790 795 |
| 10. რიშარ გასკე (საფ) | 756 890 |
| 11. გილერმო კანიასი (არგ) | 722 115 |
| 12. ტომი ჰაასი (გერ) | 690 035 |
| 13. ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 645 465 |
| 14. მარკოს ბაღდატისი (კვიპ) | 631 155 |
| 15. დავიდ ფერერი (ესპ) | 630 152 |
| 16. ბობ ბრაიანი (აშშ) | 626 385 |
| 16. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 626 385 |
| 18. ტომი რობრედო (ესპ) | 618 247 |
| 19. ენდი მარეი (ბრიტ) | 544 955 |
| 20. ხუან-კარლოს ფერერო (ესპ) | 454 970 |

ფორმულა
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა